



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტის

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

მენეჯმენტის კათედრა

**ლევან თოშხუა**

**უმუშევრობის პრობლემა საქართველოში და მისი შემცირების  
ლონისპიებები**

სამაგისტრო პროგრამა - ბიზნესის ადმინისტრირება

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია ბიზნეს  
ადმინისტრირების აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: ნუგზარ პაიჭაძე

ასოცირებული პროფესორი

თბილისი

2019

## ანოტაცია

პრობლემის აქტუალურობა, უპირველეს ყოვლისა, მდგომარეობს სერიოზულ ეკონომიკურ და სოციალურ ხარჯებში, რასაც უმუშევრობა იწვევს. უმუშევრობის ერთ-ერთი უმთავრესი უარყოფითი შედეგია შრომისუნარიანი მოსახლეობის დაუსაქმებლობა და შესაბამისად, უწარმოებელი პროდუქციაა. თუ ეკონომიკა ვერ აკმაყოფილებს დასაქმების საჭიროებას ყველასთვის, ვისაც სურს და შეუძლია იმუშაოს, მათთვის ვინც ეძებს სამუშაოს და მზად არის დაიწყოს იგი, მაშინ საქონლისა და მომსახურების წარმოების პოტენციური შესაძლებლობა დაკარგულია. შესაბამისად, უმუშევრობა ხელს უშლის საზოგადოებას თავისი პოტენციალის სრულად გამოვლინებასა და წინსვლაში. საბოლოო ჯამში, ეს ეკონომიკური ზრდის შენელებად ითვლება, აზიანებს ქვეყნის ეკონომიკას და ხელს უშლის მის განვითარებას.

ქვეყანაში ცხოვრების დონის ერთ-ერთი მთავარი საზომი მაჩვენებელია უმუშევრობა/დასაქმება. საქართველოში უმუშევრობა მწვავე პრობლემაა, რომელიც თითქმის ყველა საზოგადოებრივი აზრის შესწავლაში ვლინდება. ბოლო დროს განხორციელებულ საზოგადოებრივი აზრის შესწავლის შედეგებში საერთო ეროვნულ საკითხებს შორის, მოსახლეობის აზრით, ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა უმუშევრობაა. მოსახლეობის შეფასებით, სამუშაო ადგილების არარსებობა უფრო მნიშვნელოვანი საკითხია, ვიდრე ტერიტორიული მთლიანობა, ადამიანის უფლებების დაცვა, ხელმისაწვდომი სამედიცინო მომსახურება, განათლება და ა.შ.

ქვეყანაში სიღარიბის დონის შესამცირებლად ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა უმუშევრობის შემცირება, რაც მიიღწევა სტაბილური სამუშაო ადგილების შექმნის გზით. აღნიშნულის განსახორციელებლად აუცილებელია არსებული შრომის ბაზრის გაანალიზება, მისი მოთხოვნების განსაზღვრა, სახელმწიფოს მხრიდან სწორი სოციალური პოლიტიკის შემუშავება და გატარება.

ნაშრომის მიზნებია უმუშევრობის პრობლემების თეორიული მიდგომების შესწავლა, რაც საშუალებას იძლევა გონივრულად განხორციელდეს ზომები ამ ფენომენის უარყოფითი შედეგების რეგულირებისთვის.

ნაშრომის კვლევის ობიექტია შრომის ბაზრის განვითარების მდგომარეობა და ტენდენციები საქართველოში. კვლევა ეფუძნება საქართველოს სტატისტიკის სამსახურის, ჯანმრთელობისა და სოციალური განვითარების სამინისტროს, სხვადასხვა სამინისტროებისა და უწყებების შესაბამის კანონებს, ასევე, არსებულ ოფიციალურ სტატისტიკურ მასალებს.

## ANNOTATION

The actuality of the problems is, first of all, serious economic and social expense, which causes unemployment. One of the main negative consequences of unemployment is the unemployment of the working population and consequently producing products. If the economy does not meet the need for employment for everyone who wants and can work for those who are looking for a job and is ready to start it, then the potential potential for goods and services is lost. Consequently, unemployment prevents the public from fully manifesting and advancing its potential. Ultimately, it is considered as a slowdown in economic growth and destroys the country's economy and prevents its development.

One of the measuring indicators of living standards in the country is unemployment / employment. Unemployment in Georgia is an acute problem that is found in almost every public opinion study. Among the common national issues in the recent public opinion survey results, the population think that the most important problem is unemployment. According to the population estimates, absence of jobs is a more important issue than territorial integrity, human rights protection, accessible medical services, education and so on.

One of the main tasks for reducing the poverty level in the country is the reduction of unemployment, which is achieved by creating stable jobs. In order to implement this, it is necessary to analyze the existing labor market, determine its requirements, develop and implement correct social policies of the state.

The purpose of the work is to study theoretical approaches to unemployment problems that allow reasonable measures to regulate the negative consequences of this phenomenon.

The subject of the study is the state of labor market development and trends in Georgia. The survey is based on the Ministry of Statistics of Georgia, Ministry of Health and Social Development, the relevant laws of various ministries and departments and official statistical materials.

## სარჩევი

შესავალი .....	6
თავი1 უმუშევრობა როგორც სოციალურ-ეკონომიკური მოვლენა და მისი ეკონომიკური და სოციალური შედეგები.....	10
1.1 უმუშევრობის კონცეფცია, არსი, წარმოშობის მიზეზები.....	10
1.2 უმუშევრობის სახეები და მისი ბუნებრივი დონის განსაზღვრა.....	20
1.3 უმუშევრობის ეკონომიკური და სოციალური შედეგები.....	29
თავი 2 უმუშევრობა საქართველოში და მისი ანალიზი.....	36
2.1 საქართველოში უმუშევრობის ანალიზი 2014-2016 წლებში.....	39
2.2 საქართველოში უმუშევრობის ანალიზი 2017-2018 წლებში.....	50
თავი 3 უმუშევრობის შემცირების ღონისძიებები .....	65
დასკვნა .....	78
გამოყენებული ლიტერატურა.....	81

## შესავალი

საბაზრო ურთიერთობების სისტემაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია წარმოების ერთ-ერთ ძირითად ფაქტორს - შრომას. ამ ბაზარზე დასაქმებულების, სახელმწიფოს, მუნიციპალიტეტის, საზოგადოებრივი და კერძო ორგანიზაციების წარმომადგენლების და შრომისუნარიანი ადამიანების ინტერესები ერთმანეთს ეჯახება. შრომით ბაზარზე წარმოშობილ ამ ურთიერთობას გააჩნია სოციალურ-ეკონომიკურ ხასიათი, რაც გავლენას ახდენს მოსახლეობის უმრავლესობის უშუალო მოთხოვნილებებზე. შრომის ბაზრის მექანიზმის მეშვეობით დადგენილია დასაქმებისა და ხელფასების დონე. შრომის ბაზარზე მომხდარი პროცესების მნიშვნელოვანი შედეგია უმუშევრობა - ზოგადად უარყოფითი, მაგრამ სოციალური ცხოვრების თითქმის გარდაუვალი მოვლენა.

თანამედროვე ეპოქაში დასაქმება ერთ-ერთი მწვავე პრობლემაა სახელმწიფოს, საზოგადოებისა და ცალკეული პირების მიმართ. ყოველ ახალ ათწლეულთან ერთად, მისი აქტუალურობა არა მარტო სუსტდება, არამედ პირიქით, სულ უფრო იზრდება. ზოგიერთმა ქვეყანამ ეს პრობლემა მეტ-ნაკლებად წარმატებულად გადაჭრა, სხვები კი განიცდიან მნიშვნელოვან სირთულეებს ამ პრობლემის მოსაგვარებლად. რაც უფრო მეტი ადამიანია დაკავებული სოციალურად სასარგებლო და ეფექტური სამუშაოთი, მით უფრო მეტია ქვეყანაში მთლიანი შიგა პროდუქტი. მაღალი და მზარდი უმუშევრობის არსებობა არ იძლევა პოტენციური მშპ-ს წარმოებას (სრული და ეფექტური დასაქმების შედეგი), რაც სახელმწიფოსთვის სოციალური პრობლემების გადაჭრისათვის მნიშვნელოვან სირთულეებს ქმნის. განსაკუთრებით რთულ სიტუაციაში ვარდებიან ის პირები, რომლებიც დიდი ხნის განმავლობაში არ მუშაობენ და არ გააჩნიათ საარსებო საშუალება, გარდა ზოგიერთი სახელმწიფო პროგრამების მიხედვით გამოყოფილი სარგებლისა. ეს ხელს უწყობს მათ მოიძიონ სასიცოცხლო სახსრები უკანონო გზით, აძლიერებს კრიმინალურ მდგომარეობას და სხვა უარყოფით მოვლენებს საზოგადოებაში.

დასავლელი ექსპერტები ეკონომიკის საკითხებში თანხმდებიან, რომ უმუშევრობა ნებისმიერი ქვეყნის მოსახლეობას მძიმე ტვირთად აწვება და ეკონომიკურ,

ფსიქოლოგიურ და სოციალურ ხარჯებამდე მივყავართ. უმუშევარი ადამიანი, ეს არის სამუშაო ძალა, რომლის გამოყენების შემთხვევაშიც დამატებითი პროდუქციის წარმოება იქნებოდა შესაძლებელი. განვითარებულ და ზოგ განვითარებად ქვეყანაშიც ხელისუფლებას უწევს უმუშევრებისათვის კომპენსაციის გადახდა, რაც კიდევ უფრო მძიმე ტვირთად აწვებს სახელმწიფოს. ეს ასე არ არის საქართველოში, უმუშევრები არანაირ კომპენსაციას არ იღებენ სახელმწიფოს მხრიდან, ასე რომ უმუშევრობის ტვირთი მხოლოდ უმუშევრებს აწვებს. უმუშევრობის პერიოდში მათი უნარ-ჩვევები რეგრესს განიცდის და უკარგავს სამუშაოს პოვნის მოტივაციას.

უმუშევრობა არის მაკროეკონომიკური პრობლემა, რომელსაც აქვს ყველაზე პირდაპირი და ძლიერი გავლენა თითოეულ ადამიანზე. უმრავლესობისათვის სამსახურის დაკარგვა ნიშნავს ცხოვრების დონის ხარისხის შემცირებას, რაც სერიოზულ ფსიქოლოგიურ ტრავმას იწვევს. აქედან გამომდინარე, გასაკვირი არ არის, რომ უმუშევრობის პრობლემა ხშირად პოლიტიკური დებატების თემაა. ეკონომისტები სწავლობენ უმუშევრობას უპირველესად მისი გამომწვევი მიზეზების დასადგენად, ასევე საჯარო პოლიტიკის ღონისძიებების გასაუმჯობესებლად დასაქმების საკითხთან დაკავშირებით. ზოგიერთი სახელმწიფო პროგრამა, როგორცაა გადამზადების პროგრამები უმუშევართათვის, ხელს უწყობს მათი მომავალი დასაქმების შესაძლებლობას, ხოლო უმუშევართა დაზღვევის პროგრამები ხელს უწყობს უმუშევართა ეკონომიკური სირთულეების გადალახვას.

დასაქმების პოლიტიკა უნდა ჩამოყალიბდეს მოსახლეობის სხვადასხვა კატეგორიის შესაძლებლობის გათვალისწინებით. მეტი ყურადღება უნდა მიექცეს რისკ ჯგუფების: ქალების, ახალგაზრდების, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების დასაქმებას და ა.შ., მათი შემოსავლის სტაბილურობას, ამ საკითხებში დისკრიმინაციის აღმოფხვრას. ეს უკანასკნელი ასევე ეხება მიგრანტებს, სხვადასხვა რასის, ფერის, რელიგიის, პოლიტიკური შეხედულებისა და სოციალური წარმოშობის ხალხს. შრომით ურთიერთობაში აკრძალულია ნებისმიერი სახის დისკრიმინაცია რასის, კანის ფერის, ენის, ეთნიკური და სოციალური კუთვნილების, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის, ასაკის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, შეზღუდული შესაძლებლობის, რელიგიური ან რაიმე გაერთიანებისადმი

კუთვნილების, ოჯახური მდგომარეობის, პოლიტიკური და სხვა შეხედულების გამო. (საქართველოს შრომის კოდექსი, თავი 1, მუხლი 2). შესაბამისად, ასეთი პოლიტიკა შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ მჭიდრო თანამშრომლობით, ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკის კოორდინაციით, რათა უზრუნველყოს სრული, პროდუქტიული და თავისუფლად შერჩეული დასაქმება. დასაქმების კანონმდებლობა, ამ სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის პრიორიტეტები და მისი ფინანსური მხარდაჭერა არაერთხელ იქნა კორექტირებული.

ეკონომისტების აზრით მასიური უმუშევრობის პერიოდში ეკონომიკური ზარალი გაცილებით მაღალია და უფრო მეტია, ვიდრე მონოპოლიზაციასთან დაკავშირებული დანაკარგები. ამერიკელმა მკვლევარებმა დაადგინეს, რომ უმუშევრობა ერთი წლის განმავლობაში ადამიანის სიცოცხლეს ხუთი წლით ამცირებს. ცნობილია ასევე უმუშევრობის მძიმე სოციალური შედეგები: ნარკომანიის, დანაშაულის და თვითმკვლელობის რაოდენობათა ზრდა.

უმუშევრობის დაძლევა ის პრიორიტეტული ამოცანა და მიზანია, რომელზეც არავინ დაობს და ყველა ერთხმად აღიარებს აღნიშნული პრობლემის სწრაფად და ეფექტიანად მოგვარების აუცილებლობას. ქვეყანაში უმუშევრობის აღმოფხვრა, ერთი მხრივ, მიზანმიმართული სოციალური პროგრამებითა და მეორე მხრივ, განვითარებული ეკონომიკითაა შესაძლებელი. განვითარებული ეკონომიკა ნიშნავს ქვეყანაში არსებულ მრავალ სამუშაო ადგილს, შედეგად კი ოჯახების შემოსავლების სტაბილურ დონეს. შეიძლება ითქვას, რომ დასაქმების სტაბილური და მაღალი დონის უზრუნველყოფა წარმოადგენს ქვეყანაში უმუშევრობის დაძლევის საუკეთესო გზას. ამისათვის აუცილებელია შრომის ბაზრის ეფექტიანი ფუნქციონირება და მიზანმიმართული სახელმწიფო დასაქმების პროგრამების განხორციელება.

საქართველოში საინტერესო სიტუაციაა უმუშევრობის სტატისტიკასთან დაკავშირებით: თუ სახელმწიფო უმუშევართა ერთ რიცხვს ასახელებს, მოსახლეობის 3-ჯერ მეტი თავს დაუსქმებლად მიიჩნევს. საქართველოში უმუშევრობის კუთხით არსებული პრობლემა შრომის ბაზრის რეგულირებას ნაკლებად უკავშირდება, ვინაიდან შრომის ბაზარი მეტ-ნაკლებად ლიბერალიზებულია. უმუშევრობის გამომწვევი ერთ-ერთი მთავარი და უპირველესი პრობლემა ბიზნესის დაბალ აქტივობაშია. რამდენადაც,



არ აქტიურობს ბიზნესი, არ ზრდის წარმოებას, არ ახდენს ინვესტირებასა და რეინვესტირებას, ეს ყველაფერი უარყოფითად აისახება დასაქმების მაჩვენებლებზე. პრობლემის მეორე მიზეზი შეიძლება ჩათვალოს ქვეყნის ეკონომიკის ზრდა. არსებული ეკონომიკური ზრდა და მისი დინამიკა უმუშევრობის მკვეთრად შესამცირებლად საკმარისი არ არის, ვინაიდან არასტაბილური ზრდის პირობებში სამუშაო ძალაზეც მოთხოვნა არასტაბილურია. უმუშევრობის მესამე და არანაკლებად მნიშვნელოვანი მიზეზად შეიძლება სამუშაო ძალის დაბალი კვალიფიკაცია მივიჩნიოთ. ცხადია, არსებული ზრდის პირობებშიც არასაკმარისი, თუმცა გარკვეული სამუშაო ადგილები იქნება, მაგრამ აღნიშნულ ადგილებზე სამუშაოს მაძიებელი პირები ნაკლებად საქმდებიან, რადგან შეიძლება სათანადო უნარებს არ ფლობდნენ. გარდა ამისა, ერთი დასაქმებული ერთდროულად რამდენიმე სამუშაო ადგილს იკავებს. ამრიგად, არსებული უმუშევრობის შემცირება ეკონომიკური ზრდის სტაბილურობასა და კვალიფიციურ სამუშაო ძალას უკავშირდება.

მე ავირჩიე ეს თემა იმიტომ, რომ იგი თანამედროვე ეკონომიკის ერთ-ერთი აქტუალური საკითხია, რომელიც მნიშვნელოვანი პრობლემაა ზოგადად მთელს მსოფლიოში და მათ შორის საქართველოშიც.

ნაშრომის მიზნის მისაღწევად დასახული ამოცანებია:

- უმუშევრობის კონცეფციის, ბუნებისა და მიზეზების განხილვა;
- უმუშევრობის სახეების შესწავლა და მისი ბუნების განსაზღვრა;
- უმუშევრობის ეკონომიკური და სოციალური შედეგებს გაანალიზება;
- საქართველოში უმუშევრობის სტრუქტურისა და მიმდინარე დონის მახასიათებლების დახასიათება;

# თავი1 უმუშევრობა, როგორც, სოციალურ-ეკონომიკური მოვლენა და მისი ეკონომიკური და სოციალური შედეგები

## 1.1 უმუშევრობის კონცეფცია, არსი, წარმოშობის მიზეზები

უმუშევრობა, ეს სოციალურ-კულტურული ფენომენია, რომლის დროსაც შრომითი ძალის ნაწილი (ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა) არ არის დასაქმებული წარმოებასა და მომსახურების სფეროში. უმუშევრები დასაქმებულთა გვერდით ქვეყნის შრომით ძალას აყალიბებენ. რეალურ ეკონომიკურ ცხოვრებაში უმუშევრობა წარმოდგენილია, როგორც შრომითი ძალის მიწოდების გადაჭარბება.

უმუშევრობა არის მოვლენა, რომლის დროსაც მოსახლეობის ცალკეული ნაწილი ვერ შოულობს სამსახურს. მისი გარკვეული დონის არსებობა გარდაუვალია რეალურ ეკონომიკაში. უმუშევრობის ნორმალურ ანუ ბუნებრივ დონეს განსაზღვრავს ოფიციალურად რეგისტრირებულ უმუშევართა ხვედრითი წილი შრომისუნარიანი ასაკის მქონე მოსახლეობის საერთო რიცხოვნობაში, მაგრამ ეს მაჩვენებელი არ გვაძლევს სრულ წარმოდგენას ამ სფეროში შექმნილ ვითარებაზე. არსებული მდგომარეობის სწორად შეფასებისათვის აუცილებელია ვიცოდეთ არა მხოლოდ უმუშევართა რაოდენობა, არამედ მათი უმუშევრობის პერიოდის ხანგრძლივობა. (ქურნალი „ეკონომიკა“, 2008).

როგორც აღინიშნა, უმუშევრობა სოციალურ-ეკონომიკური ფენომენია, რომელშიც ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის ნაწილი ვერ პოულობს სამუშაოს და ხდება „ზედმეტი“. შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (MOT) თანახმად, უმუშევრად ითვლება ის ვისაც ამჟამად სამუშაო არ აქვს, ეძებს მას, მზად არის დაიწყოს იგი და არ აქვს შემოსავლის სხვა წყაროები. ე.ი. მხოლოდ ის პირები, რომლებიც ოფიციალურად არიან რეგისტრირებული შრომის ბაზარზე (შრომის საერთაშორისო სამართლის კონვენცია, გვ 1262-1265). თითოეული კონკრეტული პერიოდის უმუშევართა რაოდენობა დამოკიდებულია ეკონომიკური ზრდის ციკლსა და განაკვეთზე, შრომის პროდუქტიულობაზე, სამუშაო ძალის პროფესიული სტრუქტურის შესაბამისობის ხარისხზე და კონკრეტულ დემოგრაფიულ მდგომარეობაზე.

უმუშევრობა ჩვეულებრივ განიხილება შრომის ბაზარზე შეუსაბამობად, როდესაც შრომითი მიწოდება აღემატება მოთხოვნას და ეს შეუსაბამობა შეიძლება იყოს, როგორც რაოდენობრივი, ასევე ხარისხობრივი ხასიათის. უმუშევრობა უნდა განიხილებოდეს სხვადასხვა თვალსაზრისით, რაც გამოარჩევს მის ყველაზე მნიშვნელოვან კონცეფციებს და მახასიათებლებს.

ყველაზე ზოგადი განმარტებით „უმუშევრობა არის სოციალურ-ეკონომიკური მოვლენა, რომელიც ითვალისწინებს ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის ნაწილის სამუშაოს გარეშე დარჩენას“. მაშასადამე უმუშევრობა, როგორც ეკონომიკური კატეგორია ახასიათებს იმ დაუსაქმებელ ადამიანთა ჯგუფს, რომლებიც შრომის ბაზარზე მუდმივი წონასწორობის რყევის შედეგად, მოკლებულნი არიან მუშაობის შესაძლებლობებს. ასევე საინტერსოა ფორმულირება, რომლის მიხედვითაც „უმუშევრობა ისეთი სოციალურ-ეკონომიკური მოვლენაა, რომლის დროსაც შრომისუნარიანი მოსახლეობის ნაწილი ვერ პოულობს სამუშაოს და ქმნის შრომის სარეზერვო არმიას“. ასევე ნათლად გამოხატავს უმუშევრობის არსს განმარტება, რომლის მიხედვითაც - „უმუშევრობა ისეთი სოციალურ-ეკონომიკური მოვლენაა, რომლის დროსაც ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის ნაწილი არაა დასაქმებული საქონლისა და მომსახურების სფეროში“. (ლაცაბიძე ნ., ცარციძე მ., 2013)

როგორც განმარტებებიდან ჩანს, უმუშევრობა, როგორც ეკონომიკური კატეგორია, ასახავს იმ ურთულეს პროცესს, რომელიც დაკავშირებულია სამუშაოს ძალაზე მოთხოვნასა და მიწოდებას შორის წონასწორობის მიუღწევლობასთან. უმუშევრობა შეიძლება დახასიათდეს, როგორც დაქირავებული შრომის თანმდევი მოვლენა, მიუხედავად იმისა, ხდება თუ არა მისი ოფიციალურად რეგისტრაცია და შეფასება. იგი დამახასიათებელია ნებისმიერი ეკონომიკური სისტემისათვის, სადაც ადგილი აქვს საქონლის წარმოებას. უმუშევრობა კონკრეტული ქვეყნის ეკონომიკის, პოლიტიკის, იდეოლოგიის, მორალისა და ტრადიციების თავისებური სინთეზია. მის ქვეშ ხშირად გულისხმობენ იმ ადამიანური რესურსის აუნაზღაურებად დანაკარგს, რომელიც შეიძლება გამოყენებული ყოფილიყო საზოგადოებრივი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების მიზნით, საქონლისა და მომსახურების წარმოებისათვის. (ლაცაბიძე ნ., ცარციძე მ., 2013)

ზოგიერთი განმარტების მიხედვით უმუშევრობა დაკავშირებულია დასაქმების სოციალურ-ეკონომიკურ ასპექტებთან და, შესაბამისად, იგი ხასიათდება ისეთი მდგომარეობით, „როდესაც შრომის უნარის მქონე ადამიანებს არ შეუძლიათ დასაქმება სტრუქტურულ, პოლიტიკურ, ან სოციალურ მიზეზთა გამო. დასაქმება ნიშნავს ისეთი სამსახურის ქონას, რომელშიც ადამიანს უხდინან ფულს და რომელიც უზრუნველყოფს როგორც მისი, ასევე მისი ოჯახის ნორმალურ არსებობას“. (ადამიანის უფლებათა ლექსიკონი, 1999)

ზემოაღნიშნულ განმარტებათა შეჯერების საფუძველზე შეიძლება ჩამოყალიბდეს უმუშევრობის შემდეგნაირი განმარტება: უმუშევრობა წარმოადგენს რთულ, მრავალასპექტიან სოციალურ-ეკონომიკურ მოვლენას რომლის დროსაც ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის ნაწილი არ არის დასაქმებული საქონლისა და მომსახურების საზოგადოებრივ წარმოებაში და არ შეუძლია თავისი ფიზიკური და გონებრივი შესაძლებლობების რეალიზაცია შრომის ბაზრის მეშვეობით. (ლაცაბიძე ნ., ცარციძე მ., 2013)

უმუშევრობა საზოგადოებრივი სისტემის განუყოფელი ნაწილია, რასაც მოწმობს საბაზრო ეკონომიკის ისტორიაც. უკვე მე-18 საუკუნის მეორე ნახევრიდან ინგლისში დაიწყო მუშათა მასობრივი გამოსვლები სამრეწველო საწარმოებში მანქანა-მექანიზმების დანერგვასთან დაკავშირებით, რაც უმუშევართა არმიის ფორმირებას უწყობდა ხელს. მე-19 და მე-20 საუკუნეების განმავლობაში უმუშევართა რიცხოვნობა განუწყვეტლივ იზრდებოდა და მე-20 საუკუნის პირველ ნახევარში ეკონომიკურ დისბალანსს მიაღწია, 1995 წელს ინდუსტრიულად განვითარებულ ქვეყნებში სარეკორდო მაჩვენებელი - 635 მლნ ადამიანი დაფიქსირდა (ლაცაბიძე ნ., ცარციძე მ., 2013)

ფართო გაგებით, უმუშევრობა - ეს არის საფასური რისი გადახდაც უწევს საზოგადოებას მიღებული ეკონომიკური ეფექტისათვის. მსოფლიოში მზარდი კონკურენცია აიძულებს მეწარმეებს მუდმივად ეძებდნენ შრომისთვის გათვლილი ხარჯების შემცირების გზებს.

უმუშევრებად შეიძლება ჩაითვალოს შემდეგი პირები: გათავისუფლებული თანამრომლები; ნებაყოფლობით გათავისუფლებული პირები რომლებიც ეძებენ ახალ სამსახურს; შესვენების შემდეგ შრომის ბაზარზე დაბრუნებული პირები; შრომის ბაზარზე პირველად შესული პირები (16 წლის ასაკიდან, საქართველოს შრომის კოდექსი).

უმუშევრობის დონე განსხვავებულია სხვადასხვა ქვეყანაში. თანამედროვე მსოფლიოში ამჟამად შენარჩუნებულია ტენდენცია, რომლის მიხედვითაც ეკონომიკურად მაღალგანვითარებულ ქვეყნებში, სადაც, როგორც წესი, შობადობის დონე დაბალია, უმუშევრობის დონეც დაბალია, ხოლო ეკონომიკურად სუსტად განვითარებულ ქვეყნებში, განსაკუთრებით აფრიკის, აზიისა და ლათინური ამერიკის ბევრ ქვეყანაში, სადაც შობადობის დონე მაღალია, მაღალია უმუშევრობის დონეც, რაც სერიოზულ სირთულეებს უქმნის მოცემულ ქვეყნებს. (პაიჭამე ნ., 2016)

უმუშევრობა, როგორც წესი, იზომება კონკრეტული ინდიკატორის გამოყენებით, რომლის ვარიაციები შეიძლება განსხვავდებოდეს. ერთიანი მიდგომის მისაღწევად შრომის საერთაშორისო ორგანიზაციამ (MOT) შეიმუშავა დებულება, რომლის მიხედვითაც პირი უმუშევრად ითვლება, რომელსაც განსახილველ დროში არ ჰქონდა სამუშაო, აქტიურად ეძებს მას და მზად არის გააგრძელოს მისი განხორციელება. ამისათვის მნიშვნელოვან პირობად მიიჩნევა უმუშევართა დასაქმების სამსახურში რეგისტრაცია. ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის დასაქმებულთა და უმუშევართა რაოდენობის რიცხვის ცოდნით, შესაძლებელია განისაზღვროს ეკონომიკაში დასაქმებულთა საერთო რაოდენობის პროპორციით თუ რა წილი უკავია უმუშევართა რაოდენობას.

ზემოაღნიშნული მსჯელობიდან უმუშევრობა წარმოადგენს საბაზრო სისტემის ერთ-ერთ მთავარ გადაუჭრელ სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემას. უმუშევრობის პირობებში, უპირველეს ყოვლისა, არ ხდება საზოგადოებრივი რესურსების სრულად გამოყენება, მოსახლეობის ნაწილს აქვს მცირე შემოსავალი. საბაზრო ეკონომიკის თვალსაზრისით, უმუშევრობა კანონზომიერი მოვლენაა, რადგანაც იგი უკავშირდება საბაზრო მექანიზმის ნორმალურ ფუნქციონირებას, მაგრამ სოციალური შედეგების მიხედვით, უდავოდ შეუფასებელი ზიანის მომტანია, რადგან იწვევს სოციალური

პრობლემების გამძაფრებას და საზოგადოებრივ დაძაბულობას, მათ შორის, ხელს უწყობს დანაშაულებრივი საქმიანობის ზრდას. სამუშაოს დაკარგვა ადამიანის მიერ აღიქმება, როგორც ფსიქოლოგიური ტრამვა, რასაც თან სდევს ძლიერი სტრესი, რადგან უმუშევარი ადამიანი ცხოვრობს სახელწმიფოს მიერ დახმარების სახით გამოყოფილი სახსრების ან ახლობლების ხარჯზე. უმუშევრობა რთული და სერიოზული პრობლემაა არა მარტო განვითარებადი, არამედ განვითარებული ქვეყნებისთვისაც. (ლაცაბიძე ნ., ცარციძე მ., 2013)

საქართველოში, ისევე როგორც გარდამავალი ეკონომიკის ბევრი სხვა ქვეყნის სტატისტიკური აღრიცხვის პრაქტიკაში, გამოიყენება უმუშევრობის განზასდვრის მეთოდი, რომელიც შემუშავებულია შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის კრიტერიუმის მიხედვით. კერძოდ, 1996 წლიდან ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის დასაქმებისა და უმუშევრობის შეფასება მისადაგებულია შრომის საერთაშორისო სტანდარტებისადმი, სახელდობრ, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის კრიტერიუმებთან, რომლის თანახმადაც (ლაცაბიძე ნ., ცარციძე მ., 2013):

- ეკონომიკურად აქტიური არის 15 წლის და უფროსი ასაკის პირი, რომელიც მუშაობს ან სთავაზობს თავის შრომას იმ საქონლისა და მომსახურების საწარმოებლად, რომელიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (გაერო) ეროვნული ანგარიშის სისტემაში ეროვნული პროდუქტის განსაზღვრის ჩარჩოებში ხვდება;
- ეკონომიკურად არააქტიურად ითლება 15 წლის და უფროსი ასაკის პირი, რომელიც არ მუშაობდა (ერთი საათითაც კი) გამოკითხვის მომენტის წინა 7 დღის განმავლობაში და არ ეძებდა სამუშაოს გამოკითხვის მომენტის წინა 4 კვირის განმავლობაში. აგრეთვე, პირი, რომელიც ეძებდა სამუშაოს გამოკითხვის მომენტის წინა 4 კვირის განმავლობაში, მაგრამ სამუშაოს მოძებნის შემთხვევაში არ იყო მზად მუშაობის დასაწყებად უახლოესი ორი კვირის განმავლობაში;
- დასაქმებულია (დაქირავებული ან თვითდასაქმებული) 15 წლის და უფროსი ასაკის პირი, რომელიც გამოკითხვის მომენტის წინა 7 დღის განმავლობაში მუშაობდა (სულ მცირე, ერთი საათი მაინც) შემოსავლის (ხელფასის,

ნატურალური შემოსავლის, მოგების და ა.შ.) მიღების მიზნით, ეხმარებოდა უსასყიდლოდ სხვა შინამეურნეობის წევრებს, ან რაიმე მიზეზით არ იმყოფებოდა სამუშაოზე, თუმცა ფორმალურად ირიცხებოდა მომუშავედ;

- დაქირავებულის სტატუსი აქვს 15 წლის და უფროსი ასაკის პირს, რომელიც საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ასრულებდა განსაზღვრულ სამუშაოს ხელფასის ან სხვა სახის ანაზღაურების (ფულით ან ნატურით) მიღების მიზნით. აგრეთვე, პირს, რომელსაც აქვს სამუშაო ადგილი, მაგრამ დროებით არ მუშაობს შვებულების, ავადმყოფობის, წარმოების დროებით გაჩერების, სამუსაოდან დროებით დათხოვნის ან მსგავსი მიზეზის გამო;
- თვითდასაქმებულის სტატუსი უკავშირდება მესაკუთრის საქმიანობას მოგების ან ოჯახური შემოსავლის (ფულადი ან ნატურით) მიღების მიზნით, აგრეთვე, ოჯახურ საწარმოში/მეურნეობაში უსასყიდლოდ მუშაობას;
- უმუშევრად ითვლება 15 წლის და უფროსი ასაკის პირი, რომელიც არ მუშაობდა (ერთი საათითაც კი) გამოკითხვის მომენტის წინა 7 დღის განმავლობაში, ეძებდა სამუშაოს ბოლო 4 კვირის განმავლობაში და მზად იყო მუშაობის დასაწყებად მომავალი 2 კვირის განმავლობაში.

მოსახლეობის ეკონომიკური აქტიურობის დონის დასახასიათებლად სტატისტიკაში გამოიყენება ისეთი მაკროეკონომიკური მაჩვენებელი, როგორცაა: მოსახლეობის ეკონომიკური აქტიურობის კოეფიციენტი. ის გვიჩვენებს ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის ხვედრით წილს (პროცენტებში) 15 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობის საერთო რიცხოვნობაში და გამოითვლება ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის რიცხოვნობის შეფარდებით 15 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობის საერთო რიცხოვნობასთან. კოეფიციენტი გამოითვლება ფორმულით:

$$K_{აქტ} = \frac{T_{ეკაქტ}}{T_{15+}} * 100$$

სადაც  $K_{აქტ}$  - არის მოსახლეობის ეკონომიკური აქტიურობის კოეფიციენტი;

$T_{ეკაქტ}$  - ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის რიცხოვნობა;

$T_{15+}$  - 15 წლის და მასზე უფროსი ასაკის მოსახლეობის რიცხოვნობა.

უმუშევრობა წარმოადგენს მნიშვნელოვან მაკროეკონომიკურ მაჩვენებელს. ესაა მოვლენა, როდესაც სამუშაო ძალის მიწოდება აღემატება მასზე მოთხოვნას.

უმუშევრობის სტატისტიკა შეისწავლის უმუშევართა რიცხვს, უმუშევრობის დონეს სქესის, ასაკის, ქალაქისა და სოფლის, რეგიონების მიხედვით. უმუშევრობის დონე ხასიათდება უმუშევრობის კოეფიციენტით, რომელიც გამოითვლება მოცემულ წელს უმუშევართა რიცხვის შეფარდებით ეკონომიკურად აქტიურ მოსახლეობასთან და გამოსახება პროცენტებში. (სტატისტიკა ეკონომიკისა და ბიზნესისათვის, 2017) კერძოდ:

$$K_{უმუშ} = \frac{T_{უმუშ}}{T_{ეკ.აქტ.}} * 100$$

სადაც  $K_{უმუშ}$  - არის უმუშევრობის კოეფიციენტი;

$T_{უმუშ}$  - უმუშევრობის რიცხვი.

უმუშევრობის მიზეზების საკითხს სამეცნიერო თვალსაზრისით არ გააჩნია ცალსახა ინტერპრეტაცია. უფრო მეტიც, სხვადასხვა სკოლის ფარგლებში, ამ პრობლემის ანალიზის სიღრმე ძალიან დიფერენცირებული აღმოჩნდა. ამ ფენომენის საფუძვლების ახსნასთან დაკავშირებული ფუნდამენტური მიდგომა შეიძლება აღმოჩენილი იყოს მარქსისტული პოლიტიკური ეკონომიკის სკოლაში.

უმუშევრობის გამომწვევი მიზეზების შესწავლისას, არ შეიძლება გვერდი ავუაროთ მასზე ისეთი ცნობილი მკვლევარების შეხედულებებს, როგორცაა: კ. მარქსი, მ. კეინზი და თ. მალთუსი. მალთუსის მიხედვით, უმუშევრობა გამოწვეულია დემოგრაფიული მიზეზებით, როცა მოსახლეობის ზრდის ტემპები უსწრებს წარმოების ზრდის ტემპებს. დღესაც, უმუშევრობის აღნიშნული მიზეზი დამახასიათებელია ეკონომიკურად სუსტად განვითარებული ისეთი ქვეყნებისათვის, რომლებშიც შობადობის მაღალი დონეა. კ. მარქსის მიხედვით, ტექნიკური პროგრესის შედეგად იზრდება ერთ მომუშავეზე მოსული წარმოების საშუალებების მასა. აქედან გამომდინარე, ეკონომიკური განვითარება იწვევს კაპიტალის დაგროვების ტემპებთან შედარებით შრომაზე მოთხოვნის შეფარდებით შემცირებას. ეს კი, საბოლოო ანგარიშით, იწვევს უმუშევრობას. მ. კეინზის მიხედვით კი, სამომხმარებლო მოთხოვნის დაცემით მცირდება კაპიტალის დაბანდების ინტერესი და ამის შედეგია სამუშაო ძალაზე ინვესტიციების შემცირება, რისი ლოგიკური შედეგიცაა უმუშევრობა. (პაიჭაძე ნ., 2016)



მარქსისტული პოლიტიკური ეკონომიკის სკოლა - ჭარბი შრომის მიწოდების არსებობა კაპიტალიზმის მახასიათებელი თვისებაა და ის ეფუძნება ეკონომიკურ მიზეზებს. კაპიტალისტისთვის შრომა არის წარმოების ფაქტორი, რომელიც უნდა შეიცავდეს სხვა ფაქტორებს ჩანაცვლების პრინციპის შესაბამისად. როდესაც ხელფასის დონე მაღალია შრომის ძალის ღირებულებაზე კაპიტალისტისთვის უფრო მომგებიანია, რომ მუშების შრომის ნაცვლად მანქანა-დანდაგარებუ გამოიყენოს. (Беляева М., 2011)

ნეოკლასიკური სკოლა - შრომითი ბაზარი მოქმედებს ფასების წონასწორობის საფუძველზე. ამ ბაზარზე მთავარი მარეგულირებელი ხელფასია. ეს გავლენას ახდენს შრომის მიწოდებასა და მოთხოვნებზე, არეგულირებს მათ კორელაციას და ინარჩუნებს მათ შორის აუცილებელ ბალანსს. შრომის ფასი ძალზე სწრაფად და მოქნილად რეაგირებს საბაზრო პირობებში. რეალური მოთხოვნილებების გათვალისწინებით, იგი იზრდება ან მცირდება.

კეინზის სკოლა - საბაზრო მექანიზმს არ გააჩნია სრული თვითრეგულირების შესაძლებლობა. თვითმმართველობის კორექტირების უნარი დიდწილად დაკარგულია ახალი ფაქტორების, კერძოდ მონოპოლიების დომინირების გამო. სახელმწიფომ უნდა შეიმუშაოს დასაქმების პროგრამა და სოციალური დაცვა უმუშევართათვის. შრომის ბაზრის რეგულირება არ უნდა ეფუძნებოდეს შრომის საბაზრო ფასს. (Беляева М., 2011)

დასავლურ ეკონომიკურ ლიტერატურაში უმუშევრობის მიზეზების კვლევა ხორციელდება უპირატესად ეკონომიკური მიდგომის საფუძველზე. ამასთან უმუშევრობა განიხილება, როგორც მაკროეკონომიკური პრობლემა, ერთობლივი სამუშაო ძალის არასაკმარისად გამოყენების თვალსაზრისით. ხშირად უმუშევრობის მიზეზად დასახელებულია შრომის ბაზრის დაუბალანსებლობა, ან არაპოზიტიური ცვლილებების მოლოდინი ამ ბაზარზე.

მეცნიერ-მვლევართა მოსაზრებების შეჯერების საფუძველზე საერთო დასკვნები უმუშევრობის გამომწვევი მიზეზების შესახებ მდგომარეობს იმაში, რომ თვით ეკონომიკის საბაზრო სისტემის ფუნქციონირება იწვევს უმუშევრობას, რადგან სწორედ იგი განაპირობებს:

- საწარმოთა ნაწილის გაკოტრებას;
- სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის პირობებში კაპიტალის დაგროვებას;

- მოხმარება, დანაზოგები და ინვესტიციების დინამიკაში დისპროპორციულობას;
- წარმოების ციკლურ ხასიათს;
- არასასურველ კონკურენციას თანამედროვე ბაზარზე მთლიანობაში და, უწინარეს ყოვლისა, შრომის ბაზარზე.

უმუშევრობის მიზეზებიდან გამომდინარე, სხვადასხვა ტიპის უმუშევრობა შეიძლება გამოვლინდეს ცალკეული ფორმების მიხედვით. (ლაცაბიძე ნ., ცარციძე მ., 2013)

საქართველოში ამჟამად ფაქტობრივად არსებული უმუშევრობის მაღალი დონე მრავალი მიზეზითაა განპირობებული. მათ შორისაა:

1) წარმოების მკვეთრი დაცემა, განსაკუთრებით ეკონომიკის ისეთ წამყვან დარგებში, როგორცაა მრეწველობა და სოფლის მეურნეობა, რომელსაც ადგილი ჰქონდა XX საუკუნის 90-იან წლებში და რომელიც ჯერ კიდევ ბოლომდე არაა აღმოფხვრილი. მართალია, ბოლო წლებში სოფლის მეურნეობაში მდგომარეობის გამოსწორების მიზნით, ქვეყნის ხელისუფლების მიერ განხორციელდა რიგი ეფექტიანი ღონისძიება, მაგრამ იგი ჯერ კიდევ სრულიად არასაკმარისია. (პაიჭაძე ნ., 2016)

2) საქართველოში მოსახლეობის ფაქტობრივად არსებული უმუშევრობის მაღალი დონის ერთ-ერთი მიზეზი ისიცაა, რომ მისი (უმუშევრობის) დონის მაჩვენებლის გაანგარიშების მეთოდოლოგიას, როგორც უკვე აღინიშნა, გააჩნია რიგი ნაკლოვანება. ამ მიზეზით, ჩვენში უმუშევრობის ოფიციალური მაჩვენებელი ხელოვნურადაა შემცირებული, რაც იწვევს მოცემული პრობლემისადმი ყურადღების მოდუნებასა და აძნელებს მისი (უმუშევრობის) გამომწვევი მიზეზების დიაგნოზს და შესაბამისად, მის შესამცირებლად ღონისძიებათა დასახვასა და განხორციელებას; (პაიჭაძე ნ., 2016)

3) დასაქმების ეფექტიანი სახელმწიფო პოლიტიკის არარსებობა. ე. წ. ვარდების რევოლუციის შედეგად მოსული ხელისუფლება ძირითადად დაკავებული იყო ისეთი პიარკამპანიებით, როგორცაა: 2006 წელს მთავრობის დადგენილებით მიღებული სამუშაო ადგილებზე მომუშავეთა პროფესიული მომზადების ე. წ. მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამა, ე. თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელებული სტუდენტების დასაქმების პროგრამა, 2007 წლის ბოლოს მთავრობის მიერ გატარებული უმუშევართა დასაქმების პროგრამა და ა. შ. ზემოაღნიშნული და სხვა მსგავსი

პროგრამებიდან, რომლებსაც აკად. ვ. პაპავა, სავსებით სამართლიანად, უწოდებს „ცრუ დასაქმების პროგრამებს“ (გველესიანი მ., 1999), მიღებული დადებითი შედეგი უკუდურესად მცირეა, მასზე ბიუჯეტიდან გაწეული ფულადი დანახარჯები კი დიდი. რაც შეეხება დასაქმების სახელმწიფო პოლიტიკის სხვა საკითხებს, და, უპირველეს ყოვლისა, მის (დასაქმების) სახელმწიფო რეგულირებას, აქ მოხდა პირიქით. იგი გაუმჯობესების ნაცვლად გაუარესდა.

4) საქართველოში უმუშევრობის ფაქტობრივად არსებულ მაღალ დონეს განაპირობებს ისეთი მიზეზებიც, რომლებიც საერთოდ ან ნაკლებადაა დამოკიდებული ქვეყნის ეკონომიკური განვითარების არსებულ დონეზე და მათი უმუშევრობაზე გავლენის შემცირება ძირითადად შესაძლებელია ადამიანთა რესურსების მართვის სრულყოფასთან დაკავშირებული შესაბამისი ორგანიზაციული და ადმინისტრაციული ღონისძიებებით.

ევროპის ქვეყნებში უმუშევრობისა და ფარული უმუშევრობის კვლევას თანაბარი ყურადღება ექცევა. მონაცემების აღრიცხვა ხდება ყოველთვიურად და, შესაბამისად, უმუშევრობის წლიური ნიშნული საშუალო შეწონილი მაჩვენებელია. ამ ქვეყნებში, ერთი მხრივ, უმუშევრობის სტატისტიკა ეფუძნება ILO-ს სტანდარტებს, რადგან საერთაშორისო მონაცემების ურთიერთშედარებას არ შეემალოს ხელი, ხოლო, მეორე მხრივ, ფარული უმუშევრობის დადგენა ხდება ევროკავშირის სამუშაო ძალის კვლევის (EU LFS) სტანდარტების მიხედვით, რომელიც ზომავს არასაკმარის დასაქმებას და პოტენციურ სამუშაო ძალას. მათ შორის, იმედგაცრულებულ მუშაკს.

აშშ-ს შემთხვევაში, შრომის ბაზრის სტატისტიკის ბიურო აწარმოებს ორი ტიპის დამოუკიდებელ კვლევას. აქაც, უმუშევრობის კვლევა ეფუძნება ILO-ს სტანდარტებს, ხოლო, მეორე კვლევა სწავლობს შრომის ბაზრის სტრუქტურას სიღრმისეულად. ამ კვლევაში დეტალურად არის მოცემული როგორც დასაქმებისა და უმუშევრობის, ასევე ნახევარ-განაკვეთზე დასაქმების, არასაკმარისი დასაქმების, იმედგაცრულებული მუშაკის და პოტენციური სამუშაო ძალის შესახებ ინფორმაცია. აღსანიშნავია, რომ ამ კვლევაში საერთოდ არ რთავენ სოფლის მეურნეობაში თვითდასაქმებულ პირებს, რათა კვლევამ უფრო ზუსტი მონაცემები აჩვენოს წმინდა უმუშევრობის შესახებ.

განვითარებულ ქვეყნებს, სამუშაო ძალის ასეთი დეტალური აღრიცხვა ესაჭიროება, რათა შეძლონ უმუშევრობის პრობლემის მრავალპარამეტრიანი ანალიზი და დაადგინონ უმუშევრობის მახასიათებლები, დაითვალონ უმუშევრობის შედარებითი ეკონომიკური დანაკარგები და შეიმუშაონ ეფექტური ინსტრუმენტები, რაც ზეგავლენას მოახდენს უმუშევრობაზე. მართალია, თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის პირობებში დასაქმება განისაზღვრება მოთხოვნა-მიწოდების საფუძველზე და, შესაბამისად, უმუშევრობის გარკვეული დონის არსებობა გარდაუვალია, თუმცა, ზემოაღნიშნული მეთოდოლოგიებით მიღებული ინფორმაცია მათ ეხმარება დროულად და ეფექტიანად მოახდინონ სხვადასხვა ფისკალური, მონეტარული და საგანმანათლებლო ინსტრუმენტების გამოყენება, რაც უმუშევრობის პრობლემის მართვასა და მისგან გამოწვეული ეკონომიკური უკუეფექტების მიღებისაგან დაიცავს ქვეყანას. ეს გარემოებები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ეკონომიკური ან/და ფინანსური კრიზისის დროს.

## **1.2 უმუშევრობის სახეები და მისი ბუნებრივი დონის განსაზღვრა**

დღევანდელი რეალობიდან გამომდინარე უმუშევრობის შეფასებისათვის გამოყენებულ უნდა იქნას საერთაშორისო პრაქტიკაში აპრობირებული ყველა მაჩვენებელი: უმუშევართა რიცხოვნობა, უმუშევრობის დონე, უმუშევრობის ხანგრძლივობა, უმუშევართა სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურა, უმუშევართა პროფესიულ-კვალიფიციური სტრუქტურა, უმუშევართა დარგობრივი და ტერიტორიული სტრუქტურა, შრომის ბაზრის დაძაბულობის კოეფიციენტი.

უმუშევართა რაოდენობისა და უმუშევრობის დონისა განსაზღვრის მიზნით მისაღებია საერთაშორისო პრაქტიკაში დამკვიდრებული ორივე მეთოდოლოგიური მიდგომის გამოყენება (ლაცაბიძე ნ., ცარციძე მ., 2013):

1. უმუშევრობის მაჩვენებლის დადგენა მოსახლეობის გარვეული ნაწილის შერჩევითი დაკვირვების საფუძველზე, რაც ტარდება პერიოდულად. ასეთი პრაქტიკა წარმატებით გამოიყენება სხვადასხვა განვითარებულ ქვეყანაში. მაგალითად, აშშ-ში უმუშევართა რაოდენობის დასადგენად ყოველთვიურად ხდება მოსახლეობის შერჩევითი გამოკვლევა, რაც 60 ათას ოჯახს მოიცავს. ანალოგიური მიდგომა გამოიყენება საქართველოშიც, უმუშევართა აღრიცხვის პრაქტიკაში სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ, რომელიც ყოველკვარტლურად ახორციელებს 6700 შინამაურნეობის გამოკითხვას;
2. უმუშევრობის მაჩვენებლები უნდა დადგინდეს დასაქმების სახელმწიფო სამსახურებში არსებული ინფორმაციის საფუძველზე, რომელიც სისტემატიურად უნდა ახორციელებდეს მათ აღრიცხვასა და მონიტორინგს. მართალია აღნიშნული მეთოდი მარტივია, მაგრამ უმუშევრების დაზუსტების თალსაზრისით მნიშვნელოვანი. მისგან განსხვავებით, პერიოდული შერჩევითი გამოკვლევა უფრო ძვირადღირებულია, მაგრამ შედარებით ზუსტად ასახავს უმუშევართა სტრუქტურას.

ყოველივე ზემოთქმულის მიუხედავად, სასურველია, საქართველოს რეალობაში გათვალისწინებულ იქნეს შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (შსო) ექსპერტების რეკომენდაცია უმუშევრობის დონის გაზომვასთან მიმართებაში, სადაც გამოყოფენ 4 მიდგომას (ლაცაბიძე ნ., ცარციძე მ., 2013):

- 1) მოსახლეობის აღწერის შედეგების მიხედვით, ანუ სამუშაო ძალის რეგულარული შერჩევითი კვლევის საფუძველზე;
- 2) სახელმწიფოს სტატისტიკური ორგანოების მიერ ჩატარებული ოფიციალური შეფასების საფუძველზე;
- 3) დასაქმების სამსახურში რეგისტრაციის მიხედვით;
- 4) უმუშევრებისათვის დახმარების მიმღებ პირთა რიცხოვნობის მიხედვით.

შრომის ბაზარზე არსებული სიტუაციისა და უმუშევრობის საერთო მდგომარეობის ანალიზისათვის მნიშვნელოვანია შრომის ბაზრის დამაბულობის კოეფიციენტის სისტემატიურად გაანგარიშება და გაანალიზება. ვინაიდან სწორედ ეს მაჩვენებელი

ასახავს ერთ ვაკანტურ სამუშაო ადგილზე უმუშევრობის რაოდენობას. შრომის ბაზრის დაძაბულობის კოეფიციენტის ზრდა მიუთითებს შრომის ბაზარზე არსებული სიტუაციის გაუარესებაზე. საქართველოში, უმუშევრობის მაღალი დონის პირობებშიც კი, ხშირად ვერ ხერხდება არსებული ვაკანსიების ათვისება, რაც განპირობებულია ორი მიზეზით: პირველი, როდესაც უმუშევართა პროფესიულ-კვალიფიციური სტრუქტურა და პროფესიონალიზმის დონე არ შეესაბამება არსებული სამუშაო ადგილების მოთხოვნებს და მეორე, როდესაც არსებული ვაკანსიების მიხედვით სამუშაოს პირობები ვერ აკმაყოფილებს პიროვნების მოთხოვნებს და უმუშევარს არ სურს მისი ათვისება. (ლაცაბიძე ნ., ცარციძე მ., 2013)

მოსახლეობის დასაქმებისა და უმუშევრობის დონე სხვა მრავალ ფაქტორთან (შრომის ბაზრის საინფორმაციო ნაკადების არასრულყოფილება, დაბალი პროფესიათაშორისი მობილურობა და მათ განაწილებაში ტერიტორიული დისპროპორციები და სხვ.) ერთად, განპირობებულია სხვა ისეთი ფაქტორებითაც, როგორებიცაა: დამატებითი პროდუქციის (მომსახურების) ერთეულზე შრომისა და კაპიტალის მატების ტემპებს შორის თანაფარდობა, სამუშაო დღის (სამუშაო კვირის) დადგენილი ხანგრძლივობა, ქვეყანაში ზეგანაკვეთური და მოქნილი სამუშაო რეჟიმებით მუშაობის არსებული პრაქტიკა, საგადასახადო განაკვეთების შემცირება, ემიგრანტების ჩამოსვლისა და მიგრანტების წასვლის ინტენსივობა და სხვ. რომელთა შორის მნიშვნელოვანია (პაიჭაძე ნ., 2016):

- 1) დამატებითი პროდუქციის (მომსახურების) წარმოება დაკავშირებულია როგორც შრომითი, ასევე შრომის მწარმოებლურობის ამაღლების უზრუნველყოფელი კაპიტალის დანახარჯების მატებასთან. ცხადია, დამქირავებელი დაინტერესებულია, წარმოების გაფართოებისას, აირჩიოს მისი განმაპირობებელი ის ფაქტორი, რომელიც უფრო იაფია, ანუ, თუ დამატებითი ერთეული პროდუქციის (მომსახურების) მისაღებად დამატებითი სამუშაო ძალის დანახარჯები ამეტებს ამავე მიზნის მისაღწევად კაპიტალის მატებასთან დაკავშირებულ დანახარჯებს, მაშინ უპირატესობა მიენიჭება კაპიტალის გადიდებას და პირიქით. იმ შემთხვევაში კი, როცა წარმოების გადიდება ახალი სამუშაო ძალის დაქირავებისა და კაპიტალის გადიდების

ხარჯზე თანაბარია, დამქირავებლისათვის არახელსაყრელია შეცვალოს თანაფარდობა შრომასა და კაპიტალს შორის. მოცემულ საკითხზე მსჯელობისას, მხედველობაში ისიცავა მისაღები, რომ თვით შრომას გააჩნია სხვა ისეთი მაჩვენებლები, როგორცაა: ასაკი, სქესი ეროვნება, რასა, განათლების მდგომარეობა და სხვ. წარმოების პროცესში მონაწილეობს, აგრეთვე, ენერჯია და მასალები. ყველა ჩამოთვლილი ფაქტორი გავლენას ახდენს ზემოაღნიშნულ თანაფარდობაზე. მოცემულ შემთხვევაში გადაწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ხელფასის დონესა და სხვა ჩამოთვლილ ფაქტორებზე ფასის ცვლილებებს;

- 2) სამუშაო ძალაზე მოთხოვნის სიდიდე პირდაპირ კავშირშია დაქირავებულ მომუშავეთა სამუშაო დღისა და სამუშაო კვირის კანონმდებლობით დადგენილ ხანგრძლივობასთან. საქმე ისაა, რომ, სხვა თანაბარ პირობებში, საწარმოს (ფირმას, ორგანიზაციას) შეუძლია გამოუშვას პროდუქციის მოცემული რაოდენობა ან შეასრულოს გარკვეული მოცულობის სამუშაო, მომუშავეთა რაოდენობისა და მათ მიერ კვირაში ნამუშევარი საათების ოდენობის სხვადასხვა კომბინაციისას. სამუშაო კვირის ხანგრძლივობის გადიდება საშუალებას იძლევა გაიზარდოს მომუშავეთა რაოდენობა და პირიქით, სამუშაო კვირის ხანგრძლივობის შემცირება იწვევს მომუშავეთა რაოდენობის შემცირებას. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დიდი მნიშვნელობა ენიჭება სამუშაო დღის (კვირის) ოპტიმალური ხანგრძლივობის დადგენას. იგი უნდა ითვალისწინებდეს როგორც დამქირავებლების (საკმარისი მოგების მიღება), ასევე დაქირავებულების (მიიღონ ღირსეული ანაზღაურება და გააჩნდეთ საკმარისი თავისუფალი დრო) ინტერესებს. ამიტომ, მისი დადგენისას დიდი სიფრთხილის გამოჩენაა საჭირო. ჩვენი აზრით, სამუშაო დღის (კვირის) ხანგრძლივობის დადგენილმა ნორმამ უნდა უზრუნველყოს ის, რომ სამეცნიერო-ტექნოლოგიური პროგრესით ისარგებლონ არა მარტო დამქირავებლებმა, არამედ დაქირავებულებმაც. საქმე ისაა, რომ თანამედროვე მომუშავე რობოტების, ავტომატიზებული წარმოებრივი ხაზებისა და კომპიუტერების ეპოქაში, ინდუსტრიულად მოწინავე ქვეყნებში,

ტექნოლოგიურ პროგრესთან ერთად, პარალელურად თუ არ შემცირდება დაქირავებულთა სამუშაო დღე (სამუშაო კვირა) და, შესაბამისად, არ გაიზრდება თავისუფალი დრო, სამუშაო ძალაზე მოთხოვნა შეიძლება კატასტროფულად შემცირდეს, ანუ გაიზრდოს უმუშევრობა. ეს ნიშნავს იმას, რომ სამეცნიერო პროგრესის შედეგებით ისარგებლებენ მხოლოდ დამქირავებლები, ხოლო დასაქმებულები იზარალებენ. ეს კი, საბოლოო ანგარიშით, გამოიწვევს ქვეყანაში სოციალურ მდელვარებას, თავისი უარყოფითი შედეგებით;

- 3) პრაქტიკაში ხშირად ადგილი აქვს ე.წ. ზეგანაკვეთურ მუშაობას, რაც გულისხმობს იმას, რომ ხდება კვირაში კანონმდებლობით დადგენილი სამუშაო საათების რაოდენობის გადიდება. ზოგადად, ზეგანაკვეთური მუშაობა საზოგადოებრივად უარყოფითი მოვლენაა. გარდა იმისა, რომ იგი ზრდის უმუშევრობის დონეს (განსაკუთრებით სამუშაო ადგილების დეფიციტის მქონე ქვეყნაში, როგორც საქართველოა), იწვევს ადამიანების ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის გაუარესებას და შესაბამისად, აქვეითებს მათ შრომისუნარიანობას. იგი, აგრეთვე, ამცირებს ადამიანის თავისუფალ დროს და ამდენად, აფერხებს ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებასა და პიროვნების თვითგანვითარებას. ამას შეიძლება ადგილი ჰქონდეს როგორც ობიექტური, ასევე სუბიექტური მიზეზები. ობიექტურია მიზეზი, მაგალითად, როცა სამუშაოთა ზოგიერთ სახეობაზე ვერ ხერხდება შესაბამისი კვალიფიკაციის მომუშავეთა მოძიება, დროის რაღაც მომენტში. გაზრდილია მოთხოვნა საწარმოს მიერ გამოსაშვებ პროდუქციაზე და იგი იმდენად სეზონური და ხანმოკლეა, რომ საწარმოს (ფირმის და ა. შ) ხემძღვანელთა თვალსაზრისით, დამატებით ახალი მომუშავეთა დაქირავება არ არის მიზანშეწონილი და ა. შ. სუბიექტური მიზეზებიდან მთავარია დამქირავებელთა მისწრაფება – მიიღონ რაც შეიძლება მეტი მოგება, რასაც უმეტესად აღწევენ ზეგანაკვეთურად ნამუშევარ საათებზე ხელფასის სატარიფო განაკვეთის ზრდის მცირე კოეფიციენტის დაწესებითა და იმ დანახარჯების თავიდან აცილებით, რაც დაკავშირებულია ორგანიზაციის



შტატში დამატებით მიღებულ მომუშავეთა სოციალურ უზრუნველყოფასთან (ჯანდაცვის დაზღვევასთან და სხვ.). ცხადია, ორგანიზაციაში ზეგანაკვეთურად ნამუშევარი დროის ხანგრძლივობა პირდაპირ გავლენას ახდენს არსებული წარმოებრივი პროგრამის შესრულებისათვის საჭირო მომუშავეთა რაოდენობაზე, ანუ რაც უფრო იზრდება მომუშავეთა მიერ მთელ ნამუშევარ დროში ზეგანაკვეთურად მუშაობის წილი, იმდენად მცირდება მოთხოვნა დასაქირავებელ მომუშავეებზე;

- 4) ეკონომიკურად მოწინავე ქვეყნებში მოსახლეობის დასაქმების ამაღლების მიზნით, აქტიურად იყენებენ მუშაობის ისეთ მოქნილ რეჟიმებს, როგორცაა: არასრული სამუშაო დღით დასაქმება, ორგანიზაციის პერსონალის შტატში ე. წ. შინ მომუშავე თანამშრომლების აყვანა და ა. შ.;
- 5) მრავალი ეკონომისტისა და პოლიტიკოსის აზრით, ეკონომიკის დაქვეითების ან შენელებული ტემპით განვითარების და, შესაბამისად, დასაქმების დონის შემცირების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზეზია ქვეყანაში მაღალი საგადასახადო განაკვეთების არსებობა;
- 6) ქვეყანაში უმუშევრობის დონეზე გავლენას ახდენს, აგრეთვე, მოსახლეობის როგორც შიდა, ასევე გარე მიგრაცია. შიდა მიგრაციას შეიძლება ახლდეს როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი შედეგები. დადებითია, როცა ადგილი აქვს მოსახლეობის მიგრაციას ჭარბი სამუშაო ძალის მქონე რაიონებიდან მისი (სამუშაო ძალის) დეფიციტის მქონე რაიონებში, რაც განაპირობებს ქვეყანაში უმუშევრობის დონის შემცირებას. ამ მოვლენას შეიძლება გააჩნდეს ისეთი უარყოფითი შედეგებიც, როგორცაა: ქვეყნის მოსახლეობის მეტისმეტი გადინება ზოგიერთი რეგიონიდან, რაც შეუძლებელს ხდის ამ უკანასკნელის ნორმალურ ეკონომიკურ განვითარებას, დიდ ქალაქებში მოსახლეობის დიდი ოდენობით კონცენტრაცია, რაც ართულებს ამ ქალაქების საყოფაცხოვრებო, კომუნალურ და სხვა სახის მომსახურებას და ა. შ.

დღესდღეობით თანამედროვე ეკონომისტები ხედავენ უმუშევრობას, როგორც საბაზრო ეკონომიკის ბუნებრივ და განუყოფელ ნაწილს. ამ თვალსაზრისით, სასურველია, ყურადღება მიექცეს უმუშევრობის ტიპების ანალიზს.

უმუშევრობას ყოფენ ბუნებრივ და იძულებით უმუშევრობად.

### ბუნებრივი უმუშევრობა

უმუშევრობის ბუნებრივი მაჩვენებელი ეს ისეთი ნორმაა, ეკონომიკის მიწოდებისა და მოთხოვნის მოცემულ სტრუქტურაში, რომელიც მუდმივად უცვლელად ინარჩუნებს რეალურ ხელფასს და ნულოვანი პროდუქტიულობის მიღწევების პირობებში ინარჩუნებს უცვლელი ფასების დონეებს.

ბუნებრივი უმუშევრობა გამოირჩევა მისი არსებობის რამდენიმე ფორმით: ფრიქციონული, ნებაყოფლობითი და ინსტიტუციური.

ა) ფრიქციონული უმუშევრობა უკავშირდება შრომის მიწოდებას. მას შემდეგ, რაც ადამიანს ანიჭებს თავისუფლებას აირჩიოს საქმიანობის სახეობა და ადგილი, იგი ჩვეულებრივ იყენებს ამ უფლებას. ზოგი ნებაყოფლობით იცვლის სამუშაოს, სხვები ეძებენ ახალს სამსახურიდან გათავისუფლების გამო, ზოგი კარგავს დროებით, სეზონურ სამუშაოს და ცალკეული კატეგორია კი (ახალგაზრდობა) ეძებს სამუშაოს პირველად. ამ კატეგორიიდან ზოგიერთი ადამიანი პოულობს ახალ სამსახურს, ზოგიერთები კვლავაც ეძებენ სამუშაოს. ამავე დროს ხდება ახალი თანამშრომლების გათავისუფლება ზემოთ მოყვანილი მიზეზების გამო და ა.შ. შრომის ბაზარი ნელ-ნელა ფუნქციონირებს, მუშათა და სამუშაო ადგილების რაოდენობის გარეშე. ფრიქციონული უმუშევრობა ითვლება გარდაუვლად და სასურველიც კი არის, ვინაიდან სამსახურიდან გათავისუფლების ინიციატივა თავად დასაქმებულებიდან მოდის და ბევრი მომსახურე პერსონალი გათავისუფლების შემთხვევაში, გადადის დაბალ ანაზღაურებადი სამუშაოდან უკეთეს ანაზღაურებდ და მნიშვნელოვან სამსახურში.

ბ) ნებაყოფლობითი უმუშევრობა მოიცავს უმუშევართა შრომისუნარიან ადამიანთა კონტიგენტს, რომლებიც საკუთარი ნებით გათავისუფლდნენ სამუშაოდან, კერძოდ არ გააჩნიათ უბრალოდ მუშაობის სურვილი.

გ) ინსტიტუციონალური უმუშევრობა გამოწვეულია შრომის ბაზრის ინფრასტრუქტურის ფუნქციონირებით, ასევე შრომის ბაზარზე მოთხოვნისა და მიწოდების დეფორმირებით. უმუშევრობის შედარებით დიდმა შემწეობამ შეიძლება პროვოცირება გაუკეთოს სამუშაოს ძიების პირობებს, რომელსაც აქვს მატერიალური გავლენა შრომით მიწოდებაზე.

### იძულებითი უმუშევრობა

იძულებითი უმუშევრობა, ნაკარნახევია ეკონომიკური საქმიანობის მიმდინარე ცვლილებებით და უკავშირდება ტექნოლოგიურ გადატრიალებას, სოციალური წარმოების დარგობრივ სტრუქტურაში ცვლილებებს, პროდუქტიული ძალების ტერიტორიულ განაწილებაში ცვლილებებს.

ა) ტექნოლოგიური უმუშევრობა უკავშირდება წარმოების ფუნქციონირების ტექნოლოგიურ პრინციპებს, რომლის ძირითადი პირობაა ინსტრუმენტალიზაცია, მექანიზაცია და ავტომატიზაცია. ამ ძალიან გამარტივებულ მოდელში, მექანიკური შრომითი ჩანაცვლება, რომელიც მისი ავტომატიზაციის შედეგად შეიცვალა, აშკარად ჩანს;

ბ) სტრუქტურული („შემადგენელი“) უმუშევრობა. მისი არსი მდგომარეობს დროთა განმავლობაში სამომხმარებლო მოთხოვნათა და ტექნოლოგიების სტრუქტურის შეცვლაში, რაც შრომის ზოგადი მოთხოვნის სტრუქტურაში ცვლილებებს იწვევს. შრომის მიწოდება რომელიც ფსიქოლოგიური სტერეოტიპების სტაბილურობის გამო შრომის ბაზრის უფრო ინერტული ელემენტია, ხშირად არ შეესაბამება შრომისადმი შეცვლილი მოთხოვნის ხარისხს. იმის გამო, რომ ახალი სპეციალისტების სწრაფად მომზადება და ადრე დასაქმებულთა გადამზადება შეუძლებელია, სხვადასხვა დარგში შრომის მიწოდების და მოთხოვნის დისბალანსი წრმოიშობა. სტრუქტურული უმუშევრობა უფრო ხანგრძლივია და არასასურველია ეკონომიკისთვის. (Беляева М., 2011)

სტრუქტურული უმუშევრობის პარადიგმა საქართველოში შეიძლება შემდეგნაირად აღიწეროს: განათლების სისტემა არ ან ვერ ამზადებს შესაბამისი (შრომის ბაზარზე მოთხოვნადი) სპეციალობის (კვალიფიკაციის) კადრებს. სხვაგვარად რომ ითქვას, განათლების სისტემა და შრომის ბაზარი არ არის კონკურენტული. მაგალითად, შრომის ბაზარზე არის მოთხოვნა ზოოტექნიკოსზე, განათლების სისტემა კი ამზადებს არაადეკვატურად ჭარბი რაოდენობით ეკონომიკის სპეციალისტებს; მეორე მხრივ განათლების სისტემა, როგორც უმაღლესი, ისე პროფესიული, ვერ იძლევა შესაბამის ცოდნას (კვალიფიკაციას) ანუ განათლების ცენზი და მფლობელის ფაქტობრივი ცოდნა და შეძენილი უნარები ერთმანეთს არ შეესაბამება. მაგალითად ინჟინრის დიპლომი არ

ნიშნავს თანამედროვე ინჟინრის რეალურ კვალიფიკაციას. ამას შეიძლება ეწოდოს ცენზის შეუსაბამო კვალიფიკაციის პრობლემა.

ყოველივე ამის შედეგად, ქვეყნის ეკონომიკა ვერ უზრუნველყოფს ბაზარზე არსებული სამუშაო ძალის (შრომითი რესურსის) ადეკვატური სამუშაო ადგილების გენერირებას. ამასთან დაკავშირებით ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებასაც, რომ საქართველოს ეკონომიკა უპირატესად დაბალი კვალიფიკაციის სამუშაო ადგილებს ქმნის, რომელთა დაკავება უმეტეს შემთხვევებში, სპეციალურ განათლებას არ საჭიროებს.

განათლების სისტემის მიერ მომზადებული კადრი ხანგრძლივი უმუშევრობის შედეგად კარგავს კვალიფიკაციას, ან იძულებულია უფრო დაბალი კვალიფიკაციის (და ანაზღაურების) სამუშაოზე იმუშაოს. სამუშაო ძალის დეკვალიფიკაცია სტრუქტურული უმუშევრობის ერთ-ერთი მთავარი ნეგატიური შედეგია, თუმცა აღსანიშნავია, რომ ეს პრობლემა, თავის მხრივ, არაერთგვაროვანია. (არჩვაძე ი. 2016)

გ) ციკლური უმუშევრობა გამოწვეულია პროდუქციისა და ეკონომიკაში ინვესტიციების შემცირებით. საქონლისა და მომსახურების საერთო მოთხოვნა მცირდება, დასაქმება მცირდება და შესაბამისად უმუშევრობა იზრდება.

დ) მუდმივი უმუშევრობა ახასიათებს მოსახლეობის ნაწილს, რომელიც მუდმივად არ გააჩივს სამუშაო ან უცაბედი სამუშაოებით ირჩენენ თავს. ესენი არიან ღარიბები, ივანალიდები და ა.შ. ადამიანების ეს ნაწილი, რომლებმაც დაკარგეს არსებობის სამართლერივი წყარო, როგორც წესი, უერთდებიან დანაშაულებრივი სამყაროს რიგებს.

ე) რეგიონალური უმუშევრობა უკავშირდება ისტორიულ, დემოგრაფიულ, კულტურულ-ეროვნულ და სოციალურ-ფსიქოლოგიურ ფაქტორებს. აქედან გამომდინარე, ამ პრობლემის გადაჭრისას უნდა არსებობდეს ადგილობრივი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ორგანოების მჭიდრო ურთიერთქმედება ცენტრალურ მთავრობასთან, რაც არ გამორიცხავს მეზობელ სახელმწიფოთა მთავრობებთან თანამშრომლობას

ვ) იმ პირობებში, როდესაც შრომის მოთხოვნა თითქმის არ არსებობს, ბევრმა ადამიანმა დაკარგა იმედი და არ მიდის შრომითი ბაზარზე და არ არის

რეგისტრირებული. აქედან გამომდინარე, უმუშევრის ეს ნაწილი ოფიციალური სტატისტიკის ფარგლებს გარეთ რჩება და ითვლება დაფარულად. წარმოების შემცირება და არასაკმარისი დასაქმება უმუშევრობის ფარული ძირითადი მიზეზებია. დაფარული უმუშევრობა, შეიძლება დაიყოს ოფიციალურ და არაოფიციალურ სახედ.

ოფიციალური დაფარული უმუშევრობა ადმინისტრაციული ინიციატივით ადმინისტრაციული შვებულების მქონე რეგისტრირებული ადამიანები, ასევე იმ პირები, რომლებიც იძულებულნი არიან, დროებით მუშაობდნენ.

არაფორმალური ფარული უმუშევრობა უნდა შეიცავდეს მუშაკთა გადაჭარბებულ შემადგენლობას და მათ, ვინც ეძებენ სამუშაოს საკუთარ სამსახურს, დასაქმების გარეშე. ფარული უმუშევრობის ამ ნაწილის არსებობისა და ფორმის განსაზღვრა განისაზღვრება სპეციალური ნიმუშების კვლევებით. არაოფიციალური ფარული უმუშევრობის დამახასიათებელი ნიშნები შეიძლება იყოს არასრული და სამუშაო დროის არაეფექტიანი გამოყენება, კვალიფიკაციის არასაკმარისი გამოყენება და მუშების პროფესიული შესაძლებლობები და ა.შ.

### **1.3 უმუშევრობის ეკონომიკური და სოციალური შედეგები**

ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის შესაფასებლად ეკონომისტები სხვადასხვა სტატისტიკურ მონაცემს განიხილავენ. გარდა მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) დონისა, ერთ-ერთი სტატისტიკური მონაცემი, რაც ეკონომისტთა და ასევე, საზოგადოების ყურადღებას იქცევს, ქვეყანაში უმუშევრობის მაჩვენებელია. უმუშევრობა ქვეყნის მოსახლეობას მძიმე ტვირთად აწვება და ეკონომიკურ, ფსიქოლოგიურ და სოციალურ დანაკარგს იწვევს (McDowell, Thom, Frank & Bernanke, 2006).

ცნობილი მაკროეკონომიკური მკვლევარი არტურ ოუკენი (აშშ) მათემატიკურად გამოხატავს ურთიერთობას უმუშევრობის მაჩვენებელს და ე.წ. ჩამორჩენას - გამოუმუშავებულ ან დაუბრუნებელ დაკარგულ პროდუქციას შორის. (Зинбарев Д.Б.,

2011). ეს ურთიერთობა, რომელმაც მიიღო სახელწოდება ოუკენის კანონის სახელით, აჩვენებს, რომ თუ უმუშევრობის მაჩვენებელი 1%-ს აღემატება, მაშინ მთლიანი ეროვნული პროდუქტის დანაკარგი 2.5% -ს შეადგენს. გარდა ამისა უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ხელისუფლება შემოსავალს კარგავს გადასახადის გადამხდელთა რიცხვის შემცირების შედეგად. განვითარებულ ქვეყნებში, და ზოგ განვითარებად ქვეყანაშიც, ხარჯი კიდევ უფრო იზრდება, ვინაიდან ხელისუფლებას მეტი უმუშევრობის კომპენსაციის გადახდა უწევს. სხვაგვარდაა საქართველოში, ვინაიდან ხელისუფლება არანაირ უმუშევრობის კომპენსაციას არ იხდის და უმუშევრობის ტვირთი მხოლოდ უმუშევრებს აწვება. მათი შემოსავალი იკლებს, ხოლო უნარ-ჩვევები, გამოუყენებლობის გამო, რეგრესირებს. ამავე დროს, უმუშევრობა სამუშაოსადმი მოტივაციას ამცირებს. (დასაქმებისა და უმუშევრობის ტენდენციები საქართველოში, 2011)

უმუშევრობის ყველაზე მნიშვნელოვანი ეკონომიკური შედეგების კლასიფიკაცია, სისტემაში უარყოფითი და დადებითი შედეგების გათვალისწინებით, გამოიყურება შემდეგნაირად:

ცხრილი 1.1 უმუშევრობის ეკონომიკური შედეგები

უარყოფითი	დადებითი
სასწავლო შედეგების გაუფასურება	შრომის რესურსის შექმნა ეკონომიკური რესტრუქტურისა და ინოვაციისათვის
წარმოების შემცირება	მუშაკთა შორის კონკურენცია, როგორც წახალისება სამუშაო შესაძლებლობების განვითარებისთვის
უმუშევართა დასახმარებლად გაწეული ხარჯები	შესვენება დასაქმებაში გადამზადებისა და განათლებისათვის
კვალიფიკაციის დაკარგვა	ინტენსივობის და პროდუქტიულობის ზრდის სტიმულირება
ცხოვრების დონის შემცირება	
ეროვნული შემოსავლის უწარმოებლობა	
საგადასახადო ქვითრების შემცირება	

უმუშევრობის ერთ-ერთი უმთავრესი უარყოფითი შედეგია შრომისუნარიანი მოსახლეობის უმუშევრობა, რომელსაც მოჰყვება გამოუმუშავებელი პროდუქტები. იმ შემთხვევაში, თუ ეკონომიკა ვერ აკმაყოფილებს სამუშაო ადგილების მიწოდებას მათთვის, ვისაც სურს და შეუძლია მუშაობა, ვინც ეძებს სამუშაოს და მზად არის დაიწყოს იგი, მაშინ საქონლისა და მომსახურების პოტენციური პროდუქტი დაკარგულია. შესაბამისად, უმუშევრობა ხელს უშლის საზოგადოებას თავისი პოტენციალის განვითარებასა და წინსვლისაში. საბოლოო ჯამში, ეს ეკონომიკური ზრდის შენელებად და მთლიანი ეროვნული პროდუქტის ზრდის ჩამორჩენად ითვლება (Елкин С.Е., 2012)

ეკონომიკური აქტივობის ზრდა ან შემცირება ქვეყანაში დასაქმებისა და უმუშევრობის ზრდისა და შემცირების ძირითადი მიზეზებია. ეკონომიკის ციკლური განვითარება, ეკონომიკური აქტივობის წარმატებული ზრდა და რამოდენიმე წელიწადში ან ათწლეულების მანძილზე გარკვეული დასაქმებულებისა და უმუშევრების რიცხვი გარკვეულ რყევებს იწვევს. მაშინაც კი, როდესაც თითქმის სრული დასაქმების პიკი ეკონომიკისა და წარმოების დასაქმებაში მაქსიმალურად ეფექტურად მუშაობს, უნდა ველოდოთ, რომ გარკვეული პერიოდის შემდეგ ბიზნეს საქმიანობის შემცირება, წარმოების საქმიანობაში შემცირება და უმუშევრობის ზრდა დაიწყება. ამის შემდეგ, მომდევნო ეტაპი საკმაოდ ბუნებრივად მოდის - წარმოების აღორძინება, რაც კვლავ იწვევს დასაქმების ზრდას. (Елкин С.Е., 2012)

ნებისმიერი საზოგადოება მიზნად ისახავს რესურსების ოპტიმალურ გამოყენებას თავისი ხელსაყრელი პირობების შესასრულებლად. საზოგადოებაში უმუშევრობის არსებობა იმაზე მეტყველებს, რომ ის შრომის რესურსით ვერ სარგებლობს. გარდა ამისა, უმუშევრობა ფსიქოლოგიურ ტრავმას აყენებს იმ ადამიანებს, რომლებმაც დაკარგეს სამუშაოები, რადგან ისინი თავს გრძნობენ საზოგადოებაში ზედმეტად და არასაჭიროდ. შემთხვევითი არ არის, ექიმები რომ აცხადებენ - მაღალი და გრძელვადიანი უმუშევრობა ერის ჯანმრთელობას აუარესებს. სხვადასხვა კვლევებმა აჩვენა, რომ უმუშევართა ფიზიკური და ფსიქიკური კეთილდღეობა მკვეთრად გაუარესდა, რაც გამოიხატა შემდეგში: სისუსტე, უძილობა და თავის

ტკივილი, დაბალი თვითშეფასება, ცხოვრებისგან უკმაყოფილება და მრავალი ფსიქიკური პრობლემა. (Елкин С.Е., 2012)

უმუშევრობა ადამიანებს უჩვეულო სიტუაციებში აყენებს, იგი არა მარტო არსებულ ეკონომიკურ სტრუქტურას უშლის ხელს, არამედ ფინანსური მდგომარეობის გაუარესების მიზეზია, რომელიც ნორმალურ ცხოვრებას შეუძლებელს ხდის. იგი ხარისხობრივად ცვლის პიროვნებაში საკუთარი თავის, როგორც ინდივიდის აღქმას, აფერხებს სოციალური სტაბილურობის აუცილებელ დონეს. უმუშევრობა გახდა სიღარიბის რეალური ფაქტორი. ეს არის სიღარიბე, რომელიც მოიცავს შრომისუნარიან აქტიურ მოსახლეობას, განათლებულ და პროფესიონალურად მომზადებულ ჯგუფებს.

უმუშევრობა, როგორც სოციალური ფენომენი, მოსახლეობის გაღარიბებას იწვევს. ეს პროცესი შეიძლება გახდეს მდგრადი და განავითაროს ქრონიკული სიღარიბე ან სახელმწიფოს მიერ სოციალური დაცვის ზომები შეჩერდეს. (Елкин С.Е., 2012)

ახალგაზრდებს შორის უმუშევრობა განსაკუთრებით საშიშია. პროფესიული მომზადების ნაკლებობა, სპეციალობა მათთვის საკმაოდ რთულ პრობლემას ქმნის შრომის ბაზარზე. ამ პირობებში, ზოგიერთ ახალგაზრდას შეუძლია ჩაერთოს კრიმინოგენულ გარემოში. ზოგიერთი ექსპერტის აზრით, სამუშაოს დაკარგვისაგან გამოწვეული სტრესის დონეზე მაღლა მხოლოდ ახლო ნათესავების დაკარგვა ან თავისუფლების აღკვეთა დგას. აქედან გამომდინარე, შემთხვევითი არ არის, რომ ნებისმიერ ქვეყანაში უმუშევრობა თანამედროვე საზოგადოების ცენტრალურ პრობლემად ითვლება. უმუშევრობის ზრდა იწვევს მოსახლეობის შემოსავლების შემცირებას, ოჯახში ურთიერთობების გამწვავებას და საზოგადოებაში სოციალური დაძაბულობის ზრდას.

უმუშევრობის სოციალური ხარჯები მოიცავს შემდეგ პუნქტებს (Кашепов А., 2009):

სამუშაოს დაკარგვა დიდი პირადი ტრაგედიაა. ფსიქოლოგიური გამოკვლევები ცხადყოფს, რომ განთავისუფლება, როგორც წესი, ზუსტად ისე დამლუპველად მოქმედებს ფსიქიკაზე, როგორც ახლობლის გარდაცვალება;

პიროვნება ვინც კარგავს სამუშაოს, ხდება დეკვალიფიცირი, კარგავს თვითშეფასებას, ვერ წარმოაჩენს საკუთარ თავს და ვერ ახდენს პროფესიონალურად თვითრეალიზებას;



საზოგადოებაში მორალური პრინციპების შემცირება. უმუშევრობა იწვევს უმოქმედობას და შეიძლება გამოიწვიოს პიროვნების დეგრადაცია;

რაც უფრო მაღალია უმუშევრობის დონე, გაცილებით მაღალია განქორწინების, თვითმკვლელობის, კარდიოვასკულური დაავადებების დონე;

სოციალური და პოლიტიკური არეულობა. მასობრივმა უმუშევრობამ შეიძლება გამოიწვიოს სწრაფი, ხანდახან ძალიან სწრაფი სოციალური და პოლიტიკური ცვლილებები. უმუშევრობის შედეგი შეიძლება იყოს სოციალური აფეთქება, თუ მისი ზომა აღემატება დასაშვებ დონეს.

უმუშევრობის ეკონომიკურ ხარჯებს უმუშევრობის ფსიქოლოგიურ ხარჯებთან მივყავართ, რომელსაც უმუშევარი ხალხი და მათი ოჯახები იმ სტრესის სახით განიცდიან, რასაც ეკონომიური გაჭირვება და შემოსავლის დაკარგვა იწვევს. ზოგადად უმუშევრობის სოციალური ხარჯი ერთად აღებული ეკონომიკური და ფსიქოლოგიური ხარჯებისგან გამომდინარეობს. ისეთ ქვეყნებში, სადაც უმუშევრობის მაღალი დონეა, დანაშაულის, ძალადობის, ნარკომანიის და სხვა სოციალური პრობლემების ზრდა აღინიშნება. ეს ხარჯები, ზოგადად, საზოგადოებას აწვება, ვინაიდან ამ პრობლემებთან გასამკლავებლად სახელმწიფო მეტ თანხებს ხარჯავს. მაგალითად, კრიმინალთან საბრძოლველად მეტი პოლიციელის დაქირავებისთვის (McDowell, et al, 2006). უმუშევრობის სერიოზული უარყოფითი სოციალურ-ეკონომიკური შედეგები ზრდის სახელმწიფოს პასუხისმგებლობას, რათა უზრუნველყოს მოსახლეობის დასაქმება. ეს ამოცანები მიზნად ისახავს ეკონომიკაში სრულ დასაქმებას. სრული დასაქმების მიღება დაკავშირებულია შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობის ბალანსთან და ამისათვის საჭირო სამუშაო ადგილების რაოდენობასთან. (Елкин С.Е., 2012)

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შესაძლებელია შემოთავაზებულ იქნეს უმუშევრობის უმნიშვნელოვანესი სოციალური შედეგების კლასიფიკაცია, რომელიც განიხილება სისტემაში უარყოფითი და დადებითი შედეგების თვალსაზრისით.

ცხრილი 1.2 უმუშევრობის სოციალური შედეგები.

უარყოფითი	დადებითი
დანაშაულებრივი სიტუაციის გამწვავება	სამუშაო ადგილის სოციალური ღირებულების გაზრდა
გაზრდილი სოციალური დამაბულობა	პირადი თავისუფალი დროის ზრდა
ფიზიკური და ფსიქიკური დაავადებების რაოდენობის ზრდა	დასაქმების არჩევის თავისუფლება
სოციალური დიფერენციაციის ზრდა	სოციალური მნიშვნელობის და შრომის ღირებულების ზრდა
შრომის აქტიურობის შემცირება	

იმ ადამიანების კრიზისული მდგომარეობა, რომლებიც უმუშევრად დარჩა, ხასიათდება არა მხოლოდ იმით, რომ დაბალი კაპიტალიანი შემოსავლის მიხედვით, მოხმარების სტრუქტურა ხარისხობრივად იცვლება, არამედ ასევე მოსახლეობის ეს კატეგორია იძულებულია შეზღუდოს საკუთარი სოციალური კონტაქტები და შეცვალოს სოციალური და კულტურული გარემო. ცხოვრების სტილი იცვლება, ადამიანი იძულებულია მოერგოს მნიშვნელოვნად შეცვლილ სოციალურ-ეკონომიკურ პირობებს. უმუშევარი, უმეტესწილად, მოკლებულია ისეთი ცხოვრების წესს, როგორსაც ეწევიან დასაქმებული ადამიანები.

გამოირჩევა უმუშევართა სოციალური სტატუსის შემდეგი მახასიათებლები (Елкин С.Е., 2012):

- უმუშევრები წარმოადგენენ სოციალურ ფენას, დაწყებული საშუალო დონიდან და ქვემოდე. დასაქმებულთათვის, პოზიციების სპექტრი გაცილებით დიდია, დაწყებული ზედა ფენიდან. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, უმუშევარი ფენის იდენტიფიკაცია ბევრად უფრო ინტეგრირებულია;
- უმუშევართა თვითშეფასება მიუთითებს საკუთარი არასრულფასოვნების გრძნობაზე. შეიძლება ითქვას მარგინალიზაციაზე (საკუთარი ფენის

იდენტიფიკაციის უნარის არ ქონაზე), რომელიც ეხება ჯგუფს - დასაქმებული და დაუსაქმებელი მოსახლეობას.

დესტრუქციული პროცესების განვითარებისას განსაკუთრებული ადგილი, სიღარიბის კონცენტრაციისა და მოსახლეობის მარგინალიზაციის პროცესში უკავია უმუშევრებს, რომლებიც ქმნიან სპეციალურ სოციალურ ჯგუფს. საზოგადოების კონსტრუქციული განვითარების განსაკუთრებული საფრთხე იმაში მდგომარეობს, რომ იწყება საშუალო კლასის ჯგუფების შემდგომი დეკვალიფიკაცია.

## თავი 2 უმუშევრობა საქართველოში და მისი ანალიზი

ქვეყანასა და მის ცალკეულ რეგიონებში ბიზნეს გარემოს მნიშვნელოვნად განსაზღვრავს შრომითი რესურსების, ეკონომიურად აქტიური მოსახლეობის, დასაქმებულების, აგრეთვე უმუშევრობის სიტუაციური მოვლენები და პროცესები. (გაბიძაშვილი ბ., 2008 წ.) ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის შესაფასებლად ეკონომისტები სხვადასხვა სტატისტიკურ მონაცემს განიხილავენ. გარდა მთლიანი შიგა პროდუქტისა (მშპ) ერთ-ერთი სტატისტიკური მონაცემი, რომელიც ეკონომისტთა და, ასევე, საზოგადოების ყურადღებას იქცევს, ქვეყანაში უმუშევრობის მაჩვენებელია.

დასაქმებისა და უმუშევრობის სტატისტიკაში ერთ-ერთ მნიშვნელოვან ადგილს იკავებს ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის დახასიათება. აღნიშნული დახასიათება მოიცავს ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის საერთო რაოდენობის განსაზღვრას, მის შემადგენლობას სტატუსის მიხედვით როგორც აბსოლუტურ, ისე შეფარდებით (სტრუქტურის შეფარდებითი სიდიდეები) სიდიდეებში. ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა შეისწავლება ასევე სქესობრივ-ასაკობრივ და რეგიონულ ჭრილში.

სურათი 2.1 უმუშევრობის დონე საქართველოში



წყარო : საქსტატი

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციით, 2018 წელს საქართველოში უმუშევრობის დონე, 2017 წელთან შედარებით 1,2 პროცენტული პუნქტით შემცირდა და 12,7 პროცენტი შეადგინა. საქსტატის ინფორმაციით აღნიშნული

მონაცემი ბოლო 15 წლის განმავლობაში ყველაზე დაბალია. საქსტატისვე ინფორმაციით 2018 წელს ეკონომიკურად აქტიურმა მოსახლეობამ შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობის 63,9 პროცენტი შეადგინა

როგორც ქვეთ მოცემული ცხრილიდან ჩანს, ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა საქართველოში 2012 -2018 წლებში 2004,5 ათასიდან შემცირდა 1939,9 ათასამდე. კლების მიზეზი შეიძლება იყოს ის, რომ ამ პერიოდში ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი საზღვარგარეთ წავიდა სამუშაოს საძებნელად.

ცხრილი - 2.1 საქართველოს 15 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობის განაწილება ეკონომიკური სტატუსის მიხედვით 2012-2018 წლებში (ათასი კაცი).

	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018
ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა (სამუშაო ძალა) ათასი კაცი	2 004.5	1 978.6	1 984.6	2 018.0	1 996.2	1 983.1	1 939.9
დასაქმებული, ათასი კაცი	1 659.4	1 643.4	1 694.4	1 733.8	1 717.3	1 706.6	1 694.2
უმუშევარი, ათასი კაცი	345.1	335.2	290.2	284.2	278.9	276.4	245.7
უმუშევრობის დონე, %-ში	17,2	16.9	14.6	14.1	14	13.9	12.7

წყარო: საქსტატი

უმუშევრობის დონის მაჩვენებლებს შორის განსხვავება 2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის შედეგებამდე არსებული მთლიანი პოპულაციის (მოსახლეობა) არასწორი რაოდენობაა. 2014 წლის საყოველთაო აღწერის შედეგების დამუშავებამდე მოსახლეობის რაოდენობა სტატისტიკურ მაჩვენებლებში გაცილებით მეტი ჩანდა, ვიდრე ეს რეალურად იყო. შესაბამისად, შრომისუნარიანი მოსახლეობაც რეალურ მაჩვენებელზე მეტი გამოდიოდა. მეორე მხრივ, უმუშევრობის დონის დადგენისთვის მნიშვნელოვანია სამუშაო ძალის ზუსტი განსაზღვრა. 2017 წელს შინამეურნეობების ინტეგრირებულ გამოკვლევას ცალკე გამოეყო სამუშაო ძალის შესწავლა და ეს

მაჩვენებელი უფრო ზუსტი გახდა. მიუხედავად იმისა, რომ საქსტატის მიერ რიგი ცვლილებები განხორციელდა, წარმოებული სტატისტიკური მონაცემები ქვეყანაში არსებულ უმუშევრობა/დასაქმების რეალურ მდგომარეობას ნაკლებად ასახავს.

როგორც წესი, როცა მთლიანი მოსახლეობის რაოდენობა იკლებს, შრომისუნარიანი და ეკონომიკურად აქტიური (სამუშაო ძალა) მოსახლეობის რაოდენობაც მცირდება. ბოლო წლებში, საქართველოს მოსახლეობის რაოდენობა შემცირდა. 2001 წელს მოსახლეობის რაოდენობა 4 037.5 ათასს შეადგენდა, რაც 2017 წლის მდგომარეობით 3 729.6 ათასია. ამავე პერიოდში, შრომისუნარიანი ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის რაოდენობაც შემცირდა, თუმცა სამუშაო ძალის შემცირების ტენდენცია უფრო დიდია, ვიდრე შრომისუნარიანი მოსახლეობა. მოსახლეობის კლების მიზეზები შეიძლება მიგრაციის ნაწილში ვეძებოთ, მაგრამ სამუშაო ძალის წილის შემცირება შრომისუნარიან მოსახლეობაში ე.წ. „იმედდაკარგული მუშა ხელის“ (discouraged worker) არსებობას უკავშირდება, როცა შრომისუნარიანი მოსახლეობის სამუშაო ძალის მიღმა ყოფნა ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში სამუშაოს უშედეგო ძებნით არის გამოწვეული. ასეთი პირები კი პოტენციურ სამუშაო ძალას წარმოადგენენ და ის გარემოება, რომ საქსტატის მიერ ჩატარებული გამოკითხვის დროს, გასული 4 კვირის მანძილზე არ ეძებდნენ სამუშაოს, არ ნიშნავს რომ დასაქმების მსურველები არ არიან. ესე იგი, ადამიანები, რომლებიც მუშაობისთვის მზად არიან, სტატისტიკის წარმოებისთვის არსებული მეთოდოლოგიის გამო დასაქმების მსურველებად (სამუშაო ძალა) არ ითვლებიან.

უკანასკნელ პერიოდში სხვადასხვა სტატისტიკური თუ სოციალური გამოკითხვებით, საქართველოში უმუშევრობის პრობლემა ერთ-ერთი უმწვავესია და პირველ ადგილს იკავებს რთულად გადასაჭრელ ისეთ საკითხთა ნუსხაში, როგორცაა ქვეყნისა და ქართველი საზოგადოების წინაშე მდგარი სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური პრობლემები. უმუშევრობის დროს ფართოდ იკვეთება ეკონომიკური არასტაბილურობის შემდეგი ფაქტორები: ერთობლივი მოთხოვნის, დანაზოგებისა და ინვესტიციური მოთხოვნის შემცირება, ერთობლივი მიწოდების კლება, წარმოების დაცემა და სხვა.

ეკონომიკური თვალთახედვით, უმუშევრობის სახით ე.წ. გამოუყენებელი საწარმოო შესაძლებლობების ხარჯს ვლესულობთ, რომელიც გამოუყენებელი სამუშაო ძალის გამო იკარგება. ანუ იმ პროდუქციას, რომლის წარმოებაც შესაძლებელი იქნებოდა უმუშევრების დასაქმების შემთხვევაში. ერთი კი ცხადია, დამოუკიდებელი საქართველოს არსებობის პირობებში უმუშევრობა დღემდე ნომერ პირველ პრობლემად რჩება. (ჩიტალაძე ე., 2014 წ.)


ქვეყანაში ცხოვრების დონის ერთ-ერთი საზომი ინდიკატორი უმუშევრობა/დასაქმებაა. საქართველოში უმუშევრობა მწვავე პრობლემაა, რომელიც თითქმის ყველა საზოგადოებრივი აზრის შესწავლაში ვლინდება. ბოლო დროს განხორციელებულ საზოგადოებრივი აზრის შესწავლის შედეგებში საერთო ეროვნულ საკითხებს შორის, მოსახლეობის აზრით, ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა უმუშევრობაა. მოსახლეობის შეფასებით, სამუშაო ადგილების არარსებობა უფრო მნიშვნელოვანი საკითხია, ვიდრე ტერიტორიული მთლიანობა, ადამიანის უფლებების დაცვა, ხელმისაწვდომი სამედიცინო მომსახურება, განათლება და ა.შ. ამავდროულად ვიღებთ სურათს, როცა მოსახლეობის დიდი ნაწილი თავს უმუშევრად მიიჩნევს, ხოლო ოფიციალურ სტატისტიკაში განსხვავებული მაჩვენებლებია. (საზოგადოების განწყობა საქართველოში" 2018); (შამუგია ე., 2019)

## **2.1 საქართველოში უმუშევრობის ანალიზი 2014-2016 წლებში**

საქართველოში დასაქმების ზრდის ძირითად წყაროს კერძო სექტორი წარმოადგენს. შესაბამისად, დასაქმების შემდგომი ზრდისთვის მნიშვნელოვანია, რომ გაიზარდოს კერძო სექტორის აქტივობა და უზრუნველყოფილ იქნას მაღალი ეკონომიკური ზრდა. ამ თვალსაზრისით, ბოლო წლების ეკონომიკური ზრდის ანალიზისას, ამკარაა, რომ ბოლო წლებში საქართველოს ეკონომიკური ზრდის ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი ინვესტიციები იყო, რომლის უდიდეს ნაწილს - 70%-ზე მეტს - კერძო ინვესტიციები შეადგენდა. (საქართველოს შრომის ბაზრის ანალიზი, 2017)

ბოლო წლებში უმუშევრობის დონის შემცირებას ძირითადად ქვეყნის ეკონომიკური ზრდა და გაზრდილი ეკონომიკური აქტივობით სამუშაო ძალაზე შექმნილი დამატებითი მოთხოვნა განაპირობებდა.

დიაგრამა 2.1 უმუშევრობის დონე (ათასი კაცი) 2014-2016 წლები



2014 წლის შემდეგ დასაქმების მნიშვნელოვანი ზრდა შეიმჩნევა და ეს ზრდა ძირითადად დაქირავებით დასაქმებულთა ზრდით იყო განპირობებული. შედეგად, 2016 წელს უმუშევრობის დონემ 14,0% შეადგინა, რაც ბოლო რამოდენიმე წლის განმავლობაში უმუშევრობის ყველაზე დაბალი მაჩვენებელია. მიუხედავად ამ მაჩვენებლისა, 2010-2016 წლებში, ეკონომიკაში დაფიქსირებული საინვესტიციო ნაკადების შედეგად მთლიანი კაპიტალის ფორმირების და მთლიანი პროდუქტიულობის ზრდის ფონზე, ეკონომიკური ზრდის აღნიშნული გავლენა დასაქმების რაოდენობრივ მაჩვენებლებზე საკმაოდ შეზღუდული იყო. წყარო: საქსტატი.


საქართველოს ეკონომიკის სტრუქტურის, გეოგრაფიული მდებარეობისა და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით ქვეყნების ჯგუფთან შედარებისთვის მეტად რელევანტურია მსოფლიო ბანკის მიერ დაჯგუფებული რეგიონები, სადაც საქართველო ევროპისა და ცენტრალური აზიის მაღალი შემოსავლის არ მქონე ქვეყნების ჯგუფში შედის. შესაბამისად, საქართველოში არსებული უმუშევრობა/დასაქმების მაჩვენებლები აღნიშნული ჯგუფის ქვეყნებთან არის შედარებული. რეგიონის ქვეყნებს შორის საქართველო 13.9%-იანი (2017 წელი) უმუშევრობის დონით მე-6 ადგილს იკავებს (რეგიონის საშუალო - 10.2%). 2015-2016 წლებში, საქართველოს უმუშევრობის 14.1% და



14.0%-იანი დონეებით მე-7 ადგილს იკავებდა, ხოლო ევროპისა და ცენტრალური აზიის მაღალი შემოსავლის არმქონე ქვეყნების უმუშევრობის დონის საშუალო მაჩვენებელი 11.1% და 10.2%-ს შეადგენდა. (შამუგია ე., 2019)

სუსტი პოზიტიური ტენდენციები განვითარდა შრომის მიწოდების თვალსაზრისით, რომელთაგან განსაკუთრებით საყურადღებოა ბოლო წლებში შრომისუნარიანი მოსახლეობისა და აქტიურობის დონის კუთხით არსებული დინამიკა. კერძოდ, ბოლო წლების განმავლობაში შრომისუნარიანი მოსახლეობა კლების ტენდენციით გამოირჩევა, რაც განპირობებულია ზოგადად ქვეყანაში მოსახლეობის შემცირებით, მათ შორის გაზრდილი მიგრაციით. 2016 წელს გასულ წელთან შედარებით, ქვეყანაში შრომისუნარიანი მოსახლეობა 0.6%-ით შემცირდა და მოსახლეობის აქტიურობის დონეში შესაბამისად 0.4 პროცენტული პუნქტით კლება დაფიქსირდა. (საქართველოს შრომის ბაზრის ანალიზი 2017)

დიაგრამა 2.2 შრომისუნარიანი მოსახლეობისა და აქტიურობის დონის ცვლილება (%) 2014-2016წწ.




წყარო: საქსტატი

აქტიურობის დონისა და შრომისუნარიანი მოსახლეობის კლება დაფიქსირდა 2016 წელსაც, რამაც მნიშვნელოვნად იმოქმედა 2016 წლის დასაქმების დონის მაჩვენებელზე. 2016 წელს დასაქმების დონემ 59.5% (1 763.3 ათასი ადამიანი) შეადგინა, რაც 0.2 პროცენტული პუნქტით ნაკლებია გასული წლის მაჩვენებელთან (1 779.9 ათასი დასაქმებული) შედარებით. 2016 წელს, წინა წელთან შედარებით ქალაქის ტიპის დასახლებებში დასაქმების დონე შემცირებულია 0.5 პროცენტული პუნქტით, ხოლო სოფლის ტიპის დასახლებებში - 0.1 პროცენტული პუნქტით. აღსანიშნავია, რომ შრომისუნარიანი მოსახლეობის კლება უკავშირდება მოსახლეობის საყოველთაო

აღწერის შედეგებს, რომლის მიხედვით ზოგადად შემცირდა საქართველოს მოსახლეობის რაოდენობა.


დასაქმების მიმართულებით მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება დასაქმებულთა განაწილება (თვითდასაქმება და დაქირავება). უნდა აღინიშნოს, რომ ტრადიციულად, დასაქმებულებში ჭარბობს თვითდასაქმებულთა წილი. აღნიშნული მაჩვენებელი 2016 წელს პრაქტიკულად არ შეცვლილა, რაც უპირატესად განპირობებულია 2016 წელს 2015 წელთან შედარებით სახელმწიფო სექტორში დასაქმებულთა რაოდენობის შემცირებით (2016 წ. – 262.2 ათასი კაცი, 2015 წ. – 274.9 ათასი კაცი). ამასთან, თვითდასაქმებაში საკმაოდ მაღალია სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა ხვედრითი წილი, რომელშიც თვითდასაქმების მაჩვენებელი 47.7%-ს შეადგენს. 2016 წელს, გასულ წელთან შედარებით, უმუშევრობის კლების ტენდენციასთან ერთად დასაქმების კლების ტენდენცია დაფიქსირდა როგორც დაქირავებით დასაქმებულთა, ასევე თვითდასაქმებულთა რაოდენობაში. კერძოდ, დაქირავებით დასაქმებულთა რაოდენობა შემცირდა -1.1%-ით, ხოლო თვითდასაქმებულთა რაოდენობა - 0.7%-ით. 2016 წელს თვითდასაქმებულებისა და დაქირავებით დასაქმებულების ხვედრითმა წილმა საერთო დასაქმებაში შესაბამისად 57.3% და 42.3% შეადგინა. (საქართველოს შრომის ბაზრის ანალიზი 2017)

დიაგრამა 2.3 დასაქმებულთა განაწილება 2014-2016 წწ.




უმუშევრობის სტრუქტურის ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა ახალგაზრდებში უმუშევრობის მაღალი დონეა. უმუშევრობის დონის განხილვა ასაკობრივ ჯგუფებში გვიჩვენებს, რომ 2016 წელს უმუშევრობის დონემ ყველაზე მაღალ ნიშნულს 15-19 წლის ასაკობრივ ჯგუფში მიაღწია (31.9%), რაც 5.7 პროცენტული პუნქტით მაღალია 2015 წლის მაჩვენებელთან შედარებით. უმუშევრობის დონე ასევე მაღალია 15-24 წლის ასაკობრივი ჯგუფის ახალგაზრდებში და 2015-2016 წლების მონაცემებით შესაბამისად - 30.8%-ს და 30.5%-ს შეადგენს. აღნიშნული შეიძლება აიხსნას იმ გარემოებით, რომ საქართველოში ახალგაზრდები უმეტესწილად ეუფლებიან უმაღლეს განათლებას და სწავლის დასრულების შემდეგ ისინი აწყდებიან ორი სახის პრობლემას: 1) შრომის ბაზარზე არ არის მოთხოვნა მათ მიერ დაუფლებულ პროფესიებზე ან/და 2) მათი კვალიფიკაცია და სამუშაო გამოცდილება ვერ აკმაყოფილებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს. ამასთან, ამ კატეგორიაში მაღალია ფრიქციული უმუშევრობის წილი, რადგან ახალგაზრდებს მეტი დრო სჭირდებათ სასურველი სამუშაოს საპოვნელად. უმუშევრობის დონე ტრადიციულად ყველაზე დაბალია 65+ ასაკობრივ ჯგუფში. ამის მიზეზია ის, რომ 65+ საპენსიო ასაკია და მოსახლეობის დიდი ნაწილი არ არის დასაქმებული, არ ეძებს სამუშაოს და შესაბამისად, არააქტიური მოსახლეობის კატეგორიას მიეკუთვნება. (საქართველოს შრომის ბაზრის ანალიზი 2017)

დიაგრამა 2.4 უმუშევრობის დონე ასაკობრივ ჯგუფებში (%)



2016 წელს წინა წელთან შედარებით უმუშევრობის დონე განათლების მიღწეული დონის მიხედვით შემცირებულია საშუალო პროფესიული განათლების მქონე პირებში 16.5%-ით (2016 წ.- 33.4 ათასი ადამიანი; 2015 წ. - 40.0 ათასი ადამიანი), მაშინ, როცა ანალოგიურ პერიოდში უმუშევრობის დონე უმაღლესი განათლების მქონე პირებში გაზრდილია 1.1%-ით (2016 წ. - 92.8 ათასი ადამიანი; 2015 წ. - 91.8 ათასი ადამიანი) (დასაქმების პრობლემები და სახელმწიფო პოლიტიკა დასაქმების სფეროში, 2018)

დიაგრამა 2. 5 უმუშევრობის დონე სქესობრივი ჭრილით



2015 წლის მდგომარეობით, უმუშევრობის დონე მამაკაცებში 13,5%, ხოლო ქალებში - 10,2%-ია. ამასთან, თუ დასაქმებას ეკონომიკური კუთხით განვიხილავთ, სხვა რეალობას დავინახავთ. კერძოდ, უმუშევარ ქალთა რაოდენობა თითქმის 50%-ით მეტია უმუშევარ მამაკაცებთან შედარებით და ეს თანაფარდობა სენსაციურია უკანასკნელი წლების განმავლობაში. გლობალური დასაქმების კუთხით, რომელიც ეკონომიკურ დასაქმებასთან ერთად საოჯახო მეურნეობის წარმართვას, ბავშვების აღზრდას, ინვალიდებისა და მოხუცების მოვლას მოიცავს, ამ საქმიანობაში ჩართული ქალები ითვლებიან დასაქმებულად ხოლო არააქტიურობის დონე ქალებში თითქმის ორჯერ აღემატება მამაკაცების იგივე მაჩვენებლებს. (ჩიტალაძე ქ.)

საქართველოში უფრო მეტი დასაქმებული კაცია, ვიდრე ქალი. თუმცა ტრადიციულად კაცებში უმუშევრობის დონე უფრო მაღალია ქალებთან შედარებით. ამის ძირითადი მიზეზია ის, რომ დაუსაქმებელი ქალების უმრავლესობა არააქტიური მოსახლეობის კატეგორიას მიეკუთვნება. როგორც უკვე აღინიშნა ქალებში

არააქტიურობის დონე თითქმის ორჯერ აღემატება კაცებში ანალოგიურ მაჩვენებელს. მონაცემთა ანალიზმა აჩვენა, რომ უმუშევარ ქალთა რაოდენობა ხასიათდება კლებადი ტენდენციით. საშუალოდ ყოველწლიურად ეს მაჩვენებელი მცირდება 2 ათასი ერთეულით - 1.9%-ით. 2016 წელს 2015 წელთან შედარებით უმუშევარ ქალთა რიცხოვნობა შემცირდა დაახლოებით 15%-ით. უმუშევარ კაცთა რაოდენობა პირიქით ხასიათდება ზრდადი ტენდენციით. საშუალოდ ყოველწლიურად ეს მაჩვენებელი იზრდება 2 ათასი ერთეულით. საშუალო წლიური მატების ტემპი შეადგენს 1.3%-ს. 2016 წელს 2015 წელთა შედარებით უმუშევარ კაცთა რიცხოვნობა გაიზარდა დაახლოებით 6%-ით. (ტალიკაძე ნ.,)

შსო-ის კრუტერიუმებით იდენტიფიცირებულ უმუშევართაგან 2015 წელს 38 პროცენტი სერთიფიცირებული პროფესიის მიხედვით უმაღლესი კვალიფიკაციის სპეციალისტი იყო, უმუშევართა 17 % - საშუალო დონის სპეციალისტი, ხოლო 4 % - საშუალოზე დაბალი კვალიფიკაციის (უკანასონელი მოიცავს მე-4-9 ჯგუფებს).

კვალიფიკაციის დონის მიხედვით გამსხვილებულ ჯგუფებში დასაქმებულთა 31% დიპლომის მიხედვით უმაღლესი კვალიფიკაციის სპეციალისტია, 17% - საშუალო დონის სპეციალისტი, 8% - საშუალოზე დაბალი დონის, ხოლო დასაქმებულთა 45%-ს სპეციალობა არ გააჩნია. (უმუშევართა სტრუქტურა და სტრუქტურული უმუშევრობა საქართველოში, 2016)

ცხრილი 2.1 დასაქმებულ და უმუშევართა განაწილება პროფესიების გამსხვილებულ ჯგუფებში

	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015
უმუშევართა განაწილება სერტიფიცირებული პროფესიების გამსხვილებულ ჯგუფებში							
უმაღლესი დონის სპეციალისტები	37	39	41	39	40	39	38
საშუალო დონის სპეციალისტები	18	18	17	18	15	15	17
დანარჩენი სპეციალისტები	8	7	5	5	7	5	4
პროფესია არ აქვთ	37	36	37	38	39	41	41
სულ	100	100	100	100	100	100	100
დასაქმებულთა განაწილება სერტიფიცირებული პროფესიების გამსხვილებულ ჯგუფებში							
უმაღლესი დონის სპეციალისტები	28	29	28	29	30	29	31
საშუალო დონის სპეციალისტები	17	19	19	19	18	18	17
დანარჩენი სპეციალისტები	9	9	8	8	8	8	8
პროფესია არ აქვთ	46	43	45	45	44	44	45
სულ	100	100	100	100	100	100	100
დასაქმებულთა განაწილება სერტიფიცირებული პროფესიების გამსხვილებულ ჯგუფებში (სასოფლო თვითდასაქმების გარეშე)							
უმაღლესი დონის სპეციალისტები	48	49	49	49	50	49	50
საშუალო დონის სპეციალისტები	17	20	20	19	18	17	16
დანარჩენი სპეციალისტები	11	10	9	9	9	9	9
პროფესია არ აქვთ	24	21	22	23	23	24	25
სულ	100	100	100	100	100	100	100

კვალიფიკაციის დონის მიხედვით დასაქმებულთა და უმუშევართა სტრუქტურების შეფარდებისათვის კვლევაში გამოყენებულია კორელაციური ანალიზის მეთოდი. კორელაციის კოეფიციენტი საკმაოდ ზუსტად აჩვენებს სტრუქტურათა მსგავსების ხარისხს და მიმართულებას.


უმუშევრობის შეფასების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი უმუშევრობის ხანგრძლივობის ანალიზია. ამას საფუძვლად რამდენიმე მნიშვნელოვანი გარემოება უდევს, რომელთაგან ორი ყველაზე მნიშვნელოვანია (უმუშევართა სტრუქტურა და სტრუქტურული უმუშევრობა საქართველოში, 2016):

1. ხანგრძლივი უმუშევრობა იწვევს დეკვალიფიკაციას;
2. მაღალი კვალიფიკაციის უმუშევრები შესაძლოა უფრო მეტად იყვნენ ხანგრძლივი უმუშევრობით მოწყვლადი, ვინაიდან მათი შესაბამისი კვალიფიკაციის სამუშაოს მოძიება შედარებით ძნელია.

საყურადღებოა, რომ ისეთი უმუშევრობის ხვედრითი წონა, რომლებსაც არასდროს უმუშავიათ, მიუხედავად, შემცირების ტენდენციისა, 2015 წელს მაინც 25%-იანი

ნიშნულზეა, ანუ შსო-ს კრიტერიუმით უმუშევრობის 25 % არასდროს უმუშავია. ეს საკმაოდ მაჩვენებელია.

დიაგრამა 2.6 შსო-ს კრიტერიუმით უმუშევართა განაწილება უმუშევრობის ხანგრძლივობის მიხედვით



წყარო: საქართველოს შინამეურნეობის ინტეგრირებული გამოკვლევის მონაცემთა ბაზა დამუშავებული ავტორთა ჯგუფის მიერ.

სამუშაოს არმქონეთა მაღალი ხვედრითი წონის საკმაოდ მაღალი მაჩვენებლის ერთ-ერთ სავარაუდო მიზეზად შეიძლება განიხილებოდეს ასაკი. კერძოდ, ის გარემოება, რომ შრომითი ასაკი 15 წლიდან იწყება და მიუხედავად ამისა, რომ შსო-ს კრიტერიუმით უმუშევრობა გამორიცხავს უმუშევრებში სტუდენტებისა და მოსწავლეების მოხვედრას (25 წლამდე ასაკის მოსახლეობიდან 59.6 % არ მიეკუთვნება ეკონომურად აქტიურ მოსახლეობას, ხოლო თავად ამ ასაკის ეკონომიურად აქტიურ მოსახლეობაში უმუშევრობის დონე 30.8 %-ია, ანუ უმუშევრობის საშალო დონეზე 2.5-ჯერ მაღალი), მაინც არის საკმაოდ დიდი შანსი იმისა, რომ ასაკის გამო შსო-ის კრიტერიუმით უმუშევარს არ ჰქონდეს სამუშაო გამოცდილება.

ასაკის ფაქტორის გათვალისწინებით, შედარებით უფრო ინფორმატიულია 25 წელზე უფროსი ასაკის უმუშევრობის ხანგრძლივობის სტრუქტურა. 25 წელზე უფროსი




ასაკის უმუშევრისათვის სამუშაო გამოცდილების არქონა განსხვავებული თანრიგის ფაქტორია, ვიდრე 25 წლამდე ასაკიანთა შემთხვევაში.

25 წელზე უფროსი ასაკის უმუშევრების სტრუქტურა დაახლოებით ისეთივეა, როგორც მთლიანად უმუშევარი მოსახლეობის განაწილების სტრუქტურა, თუმცა პროპორციებს შორის განსხვავება არსებობს და ეს განსხვავებები არსებითია. სამუშაო გამოცდილების არმქონეთა ხვედრითი წონა 13%-ია, რაც თითქმის ორჯერ დაბალია მთლიანად უმუშევრების განაწილების ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით.

3 წელზე უფრო მეტი ხანგრძლივობის უმუშევართა ხვედრითი წილი 25 წელზე უფროსი ასაკის უმუშევრების რაოდენობაში 33 %-ია, რაც არსებითად აღემატება მთლიანად უმუშევრების განაწილების ანალოგიურ მაჩვენებელს. გადაჭრით შეიძლება თქვას, რომ ასაკის ზრდასთან ერთად იზრდება ხანგრძლივი უმუშევრობის ალბათობა. (უმუშევართა სტრუქტურა და სტრუქტურული უმუშევრობა საქართველოში, 2016)

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ უმუშევრობის დონე მნიშვნელოვნად განსხვავდება რეგიონების მიხედვით. ქალაქის მოსახლეობასთან შედარებით, უმუშევრობის დონე გაცილებით დაბალია სოფლის მოსახლეობაში. 2016 წელს, 2015 წელთან მიმართებით, უმუშევრობის დონე ქალაქის ჭრილით შემცირებულია 0,4 პროცენტული პუნქტით და 21,1 % შეადგინა, რაც შეეხება სოფლის მოსახლეობას, აქ შესაბამისი მაჩვენებელი გაზრდილია 0,2 პროცენტული პუნქტით და 5,0 % შეადგინა. (ჩიტალაძე ქ.)


სურათი 2.1 უმუშევრობის დონე ქალაქ-სოფლის ჭრილში %





მიუხედავად იმისა, რომ უმუშევრობის დონე სოფლად ბევრად დაბალია, ეს არ ნიშნავს იმას, რომ თითქოს მოსახლეობა უფრო მდიდარია სოფლად. პირიქით, სიღარიბის პრობლემები ძალზედ მწვავეა სქართველოს რეგიონებში, რაც სოფლის მოსახლეობის ნაკლები პრიორიტეტებით შეიძლება აიხსნას. ეს გამოწვეულია იმით, რომ არ არსებობს საწარმოები, სადაც მოხდება სოფლის ნატურალური პროდუქციის დამუშავება და მათი მზა სახით წარდგენა. (ჩიტალაძე ქ.)

სურათი 2.2 უმუშევრობის ოდნე რეგიონულ ჭრილში



ნათლად ჩანს, რომ ყველაზე მაღალი უმუშევრობის დონე ფიქსირდება თბილისში - 21,4%. რეგიონებიდან მაღალი უმუშევრობით გამოირჩევა აჭარის რეგიონი - 15,1%-ით და სამეგრელო-ზემო სვანეთი - 12,5%-ით. (ჩიტალაძე ქ.)


## 2.2 საქართველოში უმუშევრობის მაჩვენებელი 2017-2018 წლებში

დასაქმების და უმუშევრობის ოფიციალური სტატისტიკის წარმოებას სტატისტიკის ეროვნული სამსახური (შემდეგში - საქსტატი) ახორციელებს. საქსტატის მიერ ქვეყანაში არსებული მდგომარეობის შესწავლა შინამეურნეობების ინტეგრირებული და სამუშაო ძალის გამოკვლევით ხორციელდება, რაც ყოველკვარტლურად შერჩეული შინამეურნეობების შესწავლას და მიღებული მაჩვენებლების მთლიან პოპულაციაზე განზოგადებას გულისხმობს. თავის მხრივ, საქსტატის მიერ სტატისტიკის წარმოება საერთაშორისო შრომის ორგანიზაციის (ILO) მეთოდოლოგიას ეფუძნება.

2017 წლიდან საქსტატმა რამდენიმე მნიშვნელოვანი ცვლილება განახორციელა, რაც შემდეგ საკითხებს უკავშირდება:

- ❖ მთლიანი პოპულაციის ზომის დაზუსტება, რაც 2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის შედეგების მიხედვით, სტატისტიკური მაჩვენებლების გადაანგარიშებას გულისხმობს;
- ❖ შერჩევის ზომის გაზრდა, რაც ყოველ კვარტალში 3400 შინამეურნეობის გამოკვლევის ნაცვლად, უკვე 6000 შინამეურნეობის გამოკვლევას მოიცავს;
- ❖ სამუშაო ძალის გამოკვლევა, რაც სამუშაო ძალის მაჩვენებლების სრულყოფას და ახალი კითხვარის დამატებას მოიცავს;

დიაგრამა 2.7 შრომის ბაზრის სტრუქტურა



წყარო: საქსტატი

მას შემდეგ, რაც საქსტატის მიერ ზემოთ აღნიშნული ცვლილებები განხორციელდა, დასაქმებისა და უმუშევრობის სტატისტიკური მაჩვენებლები შედარებით დაზუსტდა. 2017 წელს, მოსახლეობის საყოველთაო აღწერის შედეგების მიხედვით, სტატისტიკური მაჩვენებლების გადაანგარიშების შედეგად აღმოჩნდა, რომ უმუშევრობის დონე უფრო მაღალია, ვიდრე 2017 წლამდე არსებულ სტატისტიკაში აისახებოდა. (შამუგია ე., 2019)


როგორც წესი, როცა მთლიანი მოსახლეობის რაოდენობა იკლებს, შრომისუნარიანი და ეკონომიკურად აქტიური (სამუშაო ძალა) მოსახლეობის რაოდენობაც მცირდება. ბოლო წლებში, საქართველოს მოსახლეობის რაოდენობა შემცირდა. 2001 წელს მოსახლეობის რაოდენობა 4 037.5 ათასს შეადგენდა, რაც 2017 წლის მდგომარეობით 3 729.6 ათასია. ამავე პერიოდში, შრომისუნარიანი ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის რაოდენობაც შემცირდა, თუმცა სამუშაო ძალის შემცირების ტენდენცია უფრო დიდია, ვიდრე შრომისუნარიანი მოსახლეობა. მოსახლეობის კლების მიზეზები შეიძლება მიგრაციის ნაწილში ვეძებოთ, მაგრამ სამუშაო ძალის წილის შემცირება შრომისუნარიან მოსახლეობაში ე.წ. „იმედდაკარგული მუშახელის“ (discouraged worker) არსებობას უკავშირდება, როცა შრომისუნარიანი მოსახლეობის სამუშაო ძალის მიღმა ყოფნა ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში სამუშაოს უშედეგო ძებნით არის გამოწვეული. ასეთი პირები კი პოტენციურ სამუშაო ძალას წარმოადგენენ და ის გარემოება, რომ საქსტატის მიერ ჩატარებული გამოკითხვის დროს, გასული 4 კვირის მანძილზე არ ეძებდნენ სამუშაოს, არ ნიშნავს რომ დასაქმების მსურველები არ არიან. ესე იგი, ადამიანები, რომლებიც მუშაობისთვის მზად არიან, სტატისტიკის წარმოებისთვის არსებული მეთოდოლოგიის გამო დასაქმების მსურველებად (სამუშაო ძალა) არ ითვლებიან. (შამუგია ე.მ 2019)

NDI-ის დაკვეთით შესრულებული საზოგადოებრივი აზრის შესწავლის ერთ-ერთი კითხვაა - „თვლით თუ არა თავს დასაქმებულად?“. გამოკითხულთა 60% თავს უმუშევრად მიიჩნევს. ამ პირების 61% პენსიონერი ან უმუშევარია და სამსახურს ეძებს. („საზოგადოების განწყობა საქართველოში“ 2018) საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგებსა და საქსტატის მონაცემებს შორის განსხვავების მეორე მიზეზი არასრული დასაქმება (underemployment) შეიძლება იყოს, როდესაც ადამიანებს სამუშაო გააჩნიათ,

მაგრამ საკმარისი არ არის. არასრული დასაქმება გულისხმობს შემთხვევას, როცა საქსტატის მიერ ჩატარებული გამოკვლევებისას პირი შეიძლება გასული ერთი კვირის განმელობაში მინიმუმ ერთი საათით მუშაობდა და შემოსავალი მიიღო, თუმცა ეს მუდმივი და საკმარისი არ არის. შრომის სტატისტიკის წარმოების მეთოდოლოგიით ასეთი პირი დასაქმებულად ითვლება. ზოგადად, ასეთი ადამიანები დასაქმებულები არიან სეზონურად. გარდა ამისა, მთლიან დასაქმებაში ნახევარზე მეტი თვითდასაქმებულია (2017 წლის მონაცემებით 51.7%), რომელთა საქმიანობა სოფლის მეურნეობას (ოჯახურ მეურნეობას) უკავშირდება. აღნიშნული პირები შრომის სტატისტიკისთვის დასაქმებულებად ითვებიან, მაგრამ მათი უმეტესობა თავს უმუშევრად მიიჩნევს. ამრიგად, საქართველოში ადამიანების სამუშაო ძალის მიღმა ყოფნის ერთ-ერთი მიზეზი არასრული დასაქმება და ფარული უმუშევრობაა. (შამუგია ე., 2019)


მიუხედავად იმისა რომ 2016-2017 წლებში უმუშევრობის დონე შემცირდა, ეს მაჩვენებელი დასაქმებულთა რაოდენობის ზრდაზე არ მიუთითებს. პირიქით, ამ პერიოდში დასაქმებულთა რაოდენობაც შემცირდა. ამის მიზეზი კი სამუშაო ძალის (ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა) შემცირებაა, რადგან უმუშევრობის დონე სამუშაო ძალაში უმუშევართა წილია. მაგალითად, 2016 წელს (უმუშევრობის დონე 14.0%) დასაქმებულთა რაოდენობა 1717.3 ათასი იყო, ხოლო 2017 წელს (უმუშევრობის დონე 13.9%) 10.6 ათასით ნაკლები, 1706.6 ათასი პირია დასაქმებული. (შამუგია ე., 2019)

სურათი 2.3



წყარო: საქსტატი

სურათი 2.4




წყარო: საქსტატი

საქართველოში თვითდასაქმებულთა მაჩვენებელი საკმაოდ მაღალია და 2017 წლის დასაქმების სტატისტიკაში, თვითდასაქმებამ 51.7% შეადგინა. მაშინ, როცა საერთაშორისო შრომის ორგანიზაციის (ILO) მონაცემებით, ევროპისა და ცენტრალური აზიის საშუალოზე დაბალი შემოსავლის მქონე ქვეყნებში თვითდასაქმებულთა წილი

მთლიან დასაქმებაში 27.1%-ია, ხოლო ამავე რეგიონის საშუალოზე მაღალი შემოსავლის მქონე ქვეყნებში - 18.8%. რაც შეეხება ევროკავშირის ქვეყნებს, აქ თვითდასაქმებულთა მაჩვენებელი 15.9%-ს შეადგენს.

საქართველოში ბოლო ოთხი წლის მანძილზე თვითდასაქმებულთა წილი მთლიან დასაქმებაში კლების ტენდენციით ხასიათდება, თუმცა ის კვლავ მაღალ ნიშნულს იკავებს. გარდა ამისა, თვითდასაქმებულების მიერ წარმოებული პროდუქციის ძირითადი ნაწილი შინამეურნეობის ფარგლებში მოიხმარება და მათი წვლილი მთლიან ეკონომიკაში დაბალია. ესე იგი, ამ პირების საქმიანობა დაბალპროდუქტიული და დაბალშემოსავლიანია. (შამუგია ე., 2019)

დიაგრამა 2.8 დასაქმებულების სტატისტიკის მიხედვით




წყარო: საქსტატი

საქართველოში არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე, დასაქმებისა და უმუშევრობის შესაფასებლად უფრო უკეთესი ინდიკატორი აქტიურობისა და დასაქმების დონეებია, ვინაიდან უმუშევრობის დონე სამუშაო ძალის მიხედვით ითვლება და სამუშაო ძალის მიღმა მყოფი შრომისუნარიანი მოსახლეობის ნაწილი სინამდვილეში მზადაა იმუშაოს. ეს უკანასკნელი კი რეალურ მდგომარეობას არ ასახავს, რადგან სამუშაო ძალის მიღმა მყოფი პირებიც პოტენციური სამუშაო ძალის ნაწილია და არ ნიშნავს, რომ ეს ადამიანები უარს ამბობენ მუშაობის დაწყებაზე ან არ ეძებენ

სამსახურს. თავის მხრივ, აქტიურობის დონე შრომისუნარიან მოსახლეობაში ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის (სამუშაო ძალა) ხვედრით წილს გვიჩვენებს, ანუ იმ პირების რაოდენობას რომლებიც უკვე მუშაობენ ან ეძებენ სამსახურს. ხოლო დასაქმების დონე კი - შრომისუნარიან მოსახლეობაში დასაქმებულთა წილს. ეს უკანასკნელი არსებული მდგომარეობის შესაფასებლად უფრო რელევანტურია, ვიდრე დასაქმების დონე. ვინაიდან, შრომისუნარიანი მოსახლეობა მოიცავს როგორც სამუშაო ძალას, ასევე ეკონომიკურად არააქტიურ პირებს. (შამუგია ე., 2019)

დიაგრამა 2.9 დასაქმების და აქტიურობის დონეები



წყარო: საქსტატი

2017 წელს, წინა წელთან შედარებით, როგორც აქტიურობის, ისე დასაქმების დონე 0.5 და 0.4 პროცენტული პუნქტით შემცირებულია. 2016 წელსაც ეს მაჩვენებელი შემცირებულია.

რაც შეეხება კერძო სექტორში დასაქმებულთა მაჩვენებელს, საქართველოში ძირითადი დამსაქმებელი კერძო სექტორია. ამ სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა მთლიანი დასაქმების 83.4%-ს შეადგენს (2017 წელი). შესაბამისად, ეკონომიკის

განვითარება და კერძო ინვესტიციების ზრდის ხელშეწყობა უმუშევრობის შემცირების აუცილებელი წინაპირობაა.

2017 წლის მეორე ნახევრიდან დაწყებული ეკონომიკური ზრდის გაუმჯობესება 2018 წლის კერძო სექტორის დასაქმების მაჩვენებლებზე აისახება. გარდა ამისა, 2017 წელს კერძო სექტორის დასაქმების ფარდობითი მაჩვენებლებიც შემცირებულია. 2017 წელს მთლიან დასაქმებასა და შრომისუნარიან მოსახლეობაში კერძო სექტორის წილი 0.8% - 0.8% პუნქტით შემცირდა. (შამუგია ე., 2019)

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, 2018 წლის პირველ კვარტალში უმუშევრობა საქართველოში 0.1 პროცენტით გაიზარდა და 14 პროცენტს შეადგენს. საქსტატის მონაცემებით, 2017 წელს დასაქმებულთა რიცხვი 1,706 მილიონ ადამიანს შეადგენდა, 2018 წლის პირველ კვარტალში კი ეს მაჩვენებელი 1,666 მილიონამდე შემცირდა.

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის წინასწარი მონაცემებით, 2018 წლის მე-4 კვარტალში საქართველოში უმუშევრობის დონე წინა კვარტალთან შედარებით 0.1 პროცენტული პუნქტით გაიზარდა და 12.3 პროცენტი შეადგინა.

რაც შეეხება წლიურ მაჩვენებელს, 2018 წელს 2017 წელთან შედარებით, უმუშევრობის დონე 1.2 პროცენტით 12.7 პროცენტამდე შემცირდა.


საქსტატის ინფორმაციით, ბოლო 9 წლის განმავლობაში უმუშევრობის დონის წლიური მაჩვენებლის შემცირების ტენდენციაა. ამასთან, 2018 წელს უკანასკნელი 15 წლის განმავლობაში უმუშევრობის მაჩვენებელი ყველაზე დაბალ დონეზეა.

ამავე კვლევის მიხედვით, 2018 წლის მე-4 კვარტალში ეკონომიკურად აქტიურმა მოსახლეობამ შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობის (15 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობა) 63.6 პროცენტი შეადგინა. წინა კვარტალთან შედარებით მოსახლეობის აქტიურობის დონე და დასაქმების დონე შემცირებულია 0.7 პროცენტით. ქალაქის ტიპის დასახლებებში დასაქმების დონე წინა კვარტალთან შედარებით 0.2 პროცენტით ნაკლებია, ხოლო სოფლის ტიპის დასახლებებში – 1.3 პროცენტით ნაკლები.

[\(https://1tv.ge/news/2018-wels-umushevrobis-done-wliurad-1-2-procentit-shemcirda-kholo-meotkhe-kvartalshi-mciredit-gaizarda/\)](https://1tv.ge/news/2018-wels-umushevrobis-done-wliurad-1-2-procentit-shemcirda-kholo-meotkhe-kvartalshi-mciredit-gaizarda/)



დიაგრამა 2.10 უმუშევრობის დონე სქესობრივ ჭრილში



წყარო:საქსტატი

ამასთანავე, 2018 წლის მე-4 კვარტალში თვითდასაქმებულთა წილი დასაქმებულთა საერთო რაოდენობის 48.7 პროცენტს შეადგენდა, რაც 0.1 პროცენტული პუნქტით მცირეა წინა კვარტალთან შედარებით.

საქსტატის ცნობით, უმუშევრობის დონე გაცილებით დაბალია სასოფლო დასახლებებში, საქალაქო დასახლებებთან შედარებით. 2018 წლის IV კვარტალში, წინასთან შედარებით უმუშევრობის დონე სასოფლო დასახლებებში 0.4 პროცენტული პუნქტით არის შემცირებული, ხოლო საქალაქო დასახლებებში გაზრდილია 0.5 პროცენტული პუნქტით.

აღსანიშნავია, რომ უმუშევრობის დონე ტრადიციულად მაღალია კაცების შემთხვევაში. 2018 წლის მე-4 კვარტალში აღნიშნული მაჩვენებელი კაცებში 2.6 პროცენტული პუნქტით აღემატებოდა ქალთა შესაბამის მაჩვენებელს. ამასთან, უმუშევრობის დონე წინა კვარტალთან შედარებით ქალების შემთხვევაში 0.3 პროცენტული პუნქტით შემცირდა, ხოლო კაცებში 0.6 პროცენტული პუნქტით გაიზარდა. ამასთან, კლება დაფიქსირდა ეკონომიკურად აქტიურ მოსახლეობაშიც. (<https://1tv.ge/news/2018-wels-umushevrobis-done-wliurad-1-2-procentit-shemcirda-kholo-meotkhe-kvartalshi-mciredit-gaizarda/>)

2018 წელს საქართველოში უმუშევრობის დონე 2017 წელთან შედარებით 1.2 პროცენტული პუნქტით შემცირდა და 12.7 პროცენტი შეადგინა.

2018 წელს ეკონომიკურად აქტიურმა მოსახლეობამ, შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობის (15 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობა) 63.9 პროცენტი შეადგინა. 2017


წელთან შედარებით შემცირებულია როგორც მოსახლეობის აქტიურობის დონე, ისე დასაქმების დონე, შესაბამისად 1.9 და 0.9 პროცენტული პუნქტებით. ქალაქის ტიპის დასახლებებში დასაქმების დონე წინა წელთან შედარებით გაზრდილია 1.2 პროცენტული პუნქტით, ხოლო სოფლის ტიპის დასახლებებში აღნიშნული მაჩვენებელი შემცირებულია 3.4 პროცენტული პუნქტით. აქტიურობის დონე წინაწელთან შედარებით ქალაქის ტიპის დასახლებებში შემცირებულია 1.0 პროცენტული პუნქტით, ხოლო სოფლის ტიპის დასახლებებში - 3.1 პროცენტული პუნქტით.

2018 წელს დაქირავებულთა წილი დასაქმებულებში 50.8 პროცენტს შეადგენდა, რაც 2.5 პროცენტული პუნქტით არის გაზრდილი წინა წელთან შედარებით. უნდა აღინიშნოს, რომ ბოლოხუთი წლის განმავლობაში თვითდასაქმებულთა კლების ტენდენცია ფიქსირდება და 2018 წელს პირველად დაქირავებულთა რაოდენობამ გადააჭარბა თვითდასაქმებულებს.

უმუშევრობის დონე გაცილებით დაბალია სასოფლო დასახლებებში, საქალაქო დასახლებებთან შედარებით. 2018 წელს წინა წელთან შედარებით უმუშევრობის დონე საქალაქო დასახლებებში 3.5 პროცენტული პუნქტით არის შემცირებული, ხოლო სასოფლო დასახლებებში გაზრდილია 0.7 პროცენტული პუნქტით.

წინა წელთან შედარებით 2018 წელს უმუშევრობის დონე შემცირებულია თბილისის, აჭარის, იმერეთის და გურიის რეგიონებში. ქ. თბილისში, სადაც უმუშევრობის დონის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ფიქსირდება, აღნიშნული მაჩვენებელი 5.9 პროცენტული პუნქტით არის შემცირებული, ხოლო აჭარის და იმერეთის რეგიონებში, შესაბამისად 1.8 და 1.6 პროცენტული პუნქტებით. უმუშევრობის დონე ყველაზე მეტად გაზრდილია სამეგრელო-ზემო სვანეთის დამცხეთა-მთიანეთის რეგიონებში, შესაბამისად 3.3 და 1.9 პროცენტული პუნქტებით.


სურათი 2. 4 უმუშევრობის დონე რეგიონულ ჯრილში 2018 წელს %



წყარო: საქსტატი

საქსტატის ინფორმაციით, 2018 წლის II კვარტალში ეკონომიკურად აქტიურმა მოსახლეობამ, შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობის (15 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობა) 64 % შეადგინა. წინა კვარტალთან შედარებით გაზრდილია როგორც მოსახლეობის აქტიურობის დონე, ისე დასაქმების დონე, შესაბამისად 0.2 და 1.4 პროცენტული პუნქტით.

სურათი 2.5 უმუშევრობის დონე ქალაქ-სოფლის ჯრილში




წყარო: საქსტატი

უმუშევრობის დონე გაცილებით დაბალია სასოფლო დასახლებებში, საქალაქო დასახლებებთან შედარებით. 2018 წლის II კვარტალში I კვარტალთან შედარებით უმუშევრობის დონე სოფლის ტიპის დასახლებებში 0.1 %-ით გაიზარდა, ხოლო ქალაქის ტიპის დასახლებებში აღნიშნული მაჩვენებელი 3.9 %-ით შემცირდა. (საქსტატი)

დასაქმებისა და უმუშევრობის პრობლემები განსაკუთრებით მწვავედ გენდერული ასპექტით ვლინდება, სამწუხაროთ შემორჩენილია ძველი სტერეოტიპი შრომის ბაზარზე მამაკაცებთან შედარებით ქალების ნაკლებად კონკურენტუნარიანობასთან დაკავშირებით. ცხადია, ეს პრობლემა ახალი არ არის და მას დიდი ხნის ისტორია აქვს, თუმცა თავი განსაკუთრებული სიმძაფრით მსოფლიოში ინდუსტრიული ეპოქის დადგომასთან ერთად იჩინა. (აბესაძე ნ., 2017)

სურათი 2.6 უმუშევრობის დონე სქესობრივ ჯგუფში



წყარო: საქსტატი

საქსტატის ინფორმაციით, II კვარტალში თვითდასაქმებულთა წილი დასაქმებულებში 48.7 %-ს შეადგენდა, რაც 1.9 %-ით არის შემცირებული წინა კვარტალთან შედარებით.

უმუშევრობის დონე ტრადიციულად მაღალია კაცებში, ქალებთან შედარებით. 2018 წლის II კვარტალში აღნიშნული მაჩვენებელი კაცებში 3.3 %-ით აღემატებოდა ქალების

მაჩვენებელს. ამავე პერიოდში ქალებში დასაქმების დონე 1.8 %-ით გაიზარდა, ხოლო კაცებში - 1 %-ით. (საქსტატი)

საქართველოში, დასაქმებულებად რეგისტრირებულთა უმეტესობა თვითდასაქმებულია. ეს კატეგორია ძირითადად კონცენტრირებულია სოფლის მეურნეობაში, ხოლო ამ სექტორში პროდუქტიულობის დონე საკმაოდ დაბალია. როგორც პირველად წარმოებაში, ასევე კვების პროდუქტების გადამამუშავებაში, სოფლის მეურნეობის წილი ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის დაახლოებით 9%-ს შეადგენს.

სამუშაო ადგილების შექმნა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო და საკვები პროდუქტების გადამამუშავების წარმადობის სრული გამოყენების გარეშე ვერ მოხერხდება. ამიტომ, იმ ადამინთა რიცხვი, რომლებიც ფორმალურად არიან დასაქმებულები, კიდევ უფრო ნაკლებია, ვიდრე ოფიციალური სტატისტიკით ნაჩვენები ციფრი. ეს კი იმას ნიშნავს, რომ გადასახადის გადამხდელების რაოდენობა საკმაოდ მცირეა. ამრიგად, თვითდასაქმებული სამუშაო ძალა ვერ ჩაითვლება საკმარისად სტაბილურ ძალად ანდა ის ვერ გამოიმუშავებს საკმარის შემოსავალს იმისათვის, რომ ქვეყანაში სიღარიბის დონე შემცირდეს. (დასაქმების და უმუშევრობის ტენდენციები საქართველოში, 2011)

ეკონომიკის სექტორული ანალიზი ცხადყოფს, რომ ქვეყნის ეკონომიკის მთლიანი პროდუქტიულობის სწრაფი ზრდის მიუხედავად, მნიშვნელოვნად დაბალია პროდუქტიულობის დონე გარკვეულ სექტორებში, განსაკუთრებით სოფლის მეურნეობის სექტორში. აღნიშნულის ერთერთ მიზეზს სექტორში მაღალი თვითდასაქმების მაჩვენებელი წარმოადგენს. მთლიანი დასაქმების თითქმის ნახევარი სოფლის მეურნეობის სექტორზე მოდის. ამასთან, სოფლის მეურნეობის სექტორი ქმნის მთლიანი შიდა პროდუქტის მხოლოდ 9%-ს. შესაბამისად, აუცილებელია, რომ აღნიშნული პრობლემის დამლევსათვის და სექტორის ეფექტიანობის ზრდისთვის გაუმჯობესდეს სექტორებს შორის შრომის მობილობის მაჩვენებელი. (დასაქმების პრობლემები და სახელმწიფო პოლიტიკა დასაქმების სფეროში, 2018)


სექტორების მიხედვით დასაქმებულთა რაოდენობა მკვეთრად არათანაბრადაა გადანაწილებული. სოფლის მეურნეობის სექტორში თავმოყრილია თვითდასაქმებულთა თითქმის ნახევარი. მრეწველობის სექტორში დასაქმება შეადგენს

7%-ს, ხოლო მომსახურების სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა 40%-ს აჭარბებს. მომსახურების სექტორებს შორის, თავის მხრივ, გამოირჩევა ვაჭრობის (9%) და განათლების სექტორები (8%). სოფლის მეურნეობის სექტორისგან განსხვავებით, ბიზნეს სექტორის აქტივობის ზემოქმედება ეკონომიკურ ზრდასა და დასაქმებაზე ნათლად იკვეთება ეკონომიკის სხვა სექტორების მიხედვით. 2015-2018 წლების საშუალო ეკონომიკურ ზრდაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ვაჭრობის (0.9 პროცენტული პუნქტი (პპ)), დამამუშავებელი მრეწველობის (0.8 პპ) და მშენებლობის (0.5 პპ) სექტორებმა. შესაბამისად, ამ სექტორებში დაფიქსირდა დასაქმების ზრდა. კერძოდ, 2016-2018 წლის მონაცემების მიხედვით, ბიზნეს სექტორის დასაქმების 50%-ზე მეტი ვაჭრობის, მრეწველობის და მშენებლობის სექტორებზე მოდის. რაც შეეხება დასაქმების სექტორულ დინამიკას, 2015-2018 წლებში, საშუალოდ ბიზნეს სექტორის დასაქმების ზრდაში ყველაზე მაღალი წვლილი ვაჭრობის, უძრავი ქონების, მშენებლობის და მრეწველობის სექტორებმა შეიტანეს.

რაც შეეხება ბიზნეს სექტორში დასაქმებულებს, დასაქმების ყველაზე მაღალი წილით ვაჭრობის (25%), მრეწველობის (19%) და მშენებლობის (11%) სექტორები გამოირჩევა. სოფლის მეურნეობის და განათლების სექტორებს ყველაზე დაბალი წილი უჭირავთ, რაც გამოწვეულია ამ სექტორებში თვითდასაქმების მაღალი დონით.

მრეწველობის სექტორი უზრუნველყოფს მთლიანი დასაქმების 7%-ს, ხოლო ბიზნეს სექტორის დასაქმების 19%-ს. თავის მხრივ, მრეწველობის სექტორის დასაქმების ძირითადი ნაწილი დამამუშავებელ მრეწველობაზე მოდის, რომელიც მრეწველობის სექტორის დასაქმების დაახლოებით 70%-ს შეადგენს. საკვები პროდუქტების წარმოება და მეტალურგიული მრეწველობა ტრადიციულად დასაქმების ყველაზე მაღალი მაჩვენებლით გამოირჩევა. (საქართველოს შრომის ბაზრის ანალიზი 2017)

სურათი 2.7 მრეწველობის სექტორის დასაქმება საწარმოთა ზომის მიხედვით




წყარო: საქსტატი

დამამუშავებელი მრეწველობის და ენერჯეტიკის სექტორები ბოლო წლების განმავლობაში გამოირჩეოდნენ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინებით, რამაც ხელი შეუწყო პროდუქტიულობის ზრდას ამ სექტორებში. (საქართველოს შრომის ბაზრის ანალიზი 2017)

რაც შეეხება საჯარო სექტორს, ბოლო ათი წლის მანძილზე საჯარო სექტორში ყველაზე ნაკლები დასაქმებული 2013 წელს იყო, როცა ამ პერიოდში, წინა წელთან შედარებით, დასაქმებულთა რაოდენობა 12.2%-ით შემცირდა და მათი რიცხვი 252.1 ათას პირს შეადგენდა. თუმცა, აღსანიშნავია ის გარემოება, რომ 2013 წლის შემცირების შემდეგ, საჯარო სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა ისევ იზრდება და უკვე 2017-2018 წლებში ამ სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა 2012 წელს არსებულ მაჩვენებელზე მხოლოდ 3.2 ათასი პირით ნაკლებია. (შამუგია ე., 2019)

სურათი 2. 8 საჯარო სექტორის დასაქმება





### თავი 3 უმუშევრობის შემცირების ღონისძიებები

რადგან უმუშევრობა სერიოზული მაკროეკონომიკური პრობლემაა, წარმოჩინდება როგორც მაკროეკონომიკური არასტაბილურობის მაჩვენებელი, სახელმწიფო იღებს ზომებს, რათა ებრძოლო მას. იქიდან გამომდინარე, რომ ისინი გამოწვეულია სხვადასხვა მიზეზით გამოიყენება მისი შემცირების სხვადასხვა ზომები. (Капелюшников, Р.И. 2000)

ყველა სახის უმუშევრობის პრობლემის აღმოსაფხვრელად საერთო ზომებია:

- უმუშევრობისთვის სარგებლის გადახდა;
- დასაქმების სამსახურის შექმნა

ფრიქციონული უმუშევრობის წინააღმდეგ ბრძოლის კონკრეტული ღონისძიებებია:

- 1) სამუშაოების ხელმისაწვდომობის შესახებ ინფორმაციის შეგროვებისა და მიწოდების სისტემის გაუმჯობესება (არა მხოლოდ მოცემულ ქალაქში, არამედ სხვადასხვა რეგიონებში);
- 2) ამ მიზნით სპეციალური მომსახურებების შექმნა. (Ишкин, В.В. 2003.)

სტრუქტურული უმუშევრობის წინააღმდეგ ბრძოლის ისეთი ღონისძიებები გამოიყენება, როგორცაა:

1. საჯარო სამსახურებისა და ინსტიტუტების შექმნა გადამზადებისა და პრეკვალიფიკაციისათვის;
2. დახმარება ამ ტიპის კერძო სამსახურებს.

ციკლური უმუშევრობის წინააღმდეგ ბრძოლისათვის მიმართული ძირითადი საშუალებებია:

- კონტრ-ციკლური (სტაბილიზაციის) პოლიტიკის ჩატარება, რომელიც მიზნად ისახავს ღრმა პროდუქციის რეცესიების თავიდან აცილებას და, შესაბამისად, მასობრივ უმუშევრობას;
- სახელმწიფოს მიერ დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნას ეკონომიკის სექტორში.

უმუშევრობის პრობლემის გადაჭრის გზები იყოფა პირდაპირ და ირიბ საშუალებებად.

პირდაპირი გზაა შიდა პროდუქციის აღორძინება, ახალი სამუშაო ადგილების ორგანიზება ეკონომიკური საქმიანობის ყველა სფეროში.

არაპირდაპირი არის დასაქმების ადმინისტრაციული ან საკანონმდებლო რეგულირება.

ეს ნიშნავს:

1. დაქირავებულ თანამშრომელთა სამართლებრივ დაცვას;
2. დასაქმების ალტერნატიული ფორმების გამოყენებას.

უმუშევრობის დაზღვევის სისტემის განვითარება; დასაქმების ფონდში წვლილის წილის ზრდა, რაც ხელს შეუწყობს საწარმოების რესტრუქტურირებას; სადაზღვევო პრინციპების გამოყენებას, როდესაც დამსაქმებელთან ერთად თანამშრომელი თავად იღებს მონაწილეობას ფონდის ფორმირებაში; ბაზრის მოთხოვნების შეცვლასთან მიმართებაში უმუშევართა ადაპტაციას პროფესიული სწავლების სისტემის საშუალებით ხელმისაწვდომი ძირითადი კვალიფიკაციის მაქსიმალური გათვალისწინებით; დასაქმების ბიუროში უმუშევრობის რეგისტრაციის პროცედურის გამარტივება.

3. ხელფასის სფეროში გარანტიების გაძლიერება და ხელფასების გადაუხდელობის პრობლემის მოგვარება;
4. სოციალური პარტნიორობის მექანიზმის საშუალებით თანამშრომლების დაცვის ეფექტური სისტემის შექმნა, რომლის უმთავრესი ამოცანაა კონფლიქტური სიტუაციების აღმოფხვრა. სოციალური დაცვის სისტემა მიზნად ისახავს უზრუნველყოს მინიმალური ხელფასის განსაზღვრის მოლაპარაკება და ზოგიერთ შემთხვევაში კრიტერიუმები შემუშავება ხელფასების გასაზრდელად ინდუსტრიის ან საწარმოს დონეზე ეროვნული შემოსავლისა და დასაქმების პოლიტიკის ფარგლებში. სოციალური სისტემის ყველაზე მნიშვნელოვანი ამოცანაა კონფლიქტის სიტუაციების აღმოფხვრა.

(Капелюшников, Р.И., 2000)

ეს ზომები ვერ შეძლებს მთლიანად აღმოფხვრას ან მნიშვნელოვნად შეამციროს ციკლური უმუშევრობა. ეს შედეგი მიიღწევა მხოლოდ ქვეყანაში ეკონომიკური მდგომარეობის ზოგადი გაუმჯობესებით. აქედან გამომდინარე, ქვეყნის პოლიტიკა უმუშევრობის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში გრძელვადიან პერსპექტივაში უნდა იყოს ორიენტირებული იმაზე, რომ უზრუნველყოს არა მხოლოდ მოსახლეობის დასაქმების საკითხი, არამედ სტაბილური ეკონომიკური ზრდაც.

როგორც უკვე მრავალჯერ აღინიშნა, უმუშევრობა ურთულესი და უმწვავესი სოციალურ-ეკონომიკური, დემოგრაფიული, ფსიქოლოგიური და პოლიტიკური პრობლემაა, რომელსაც თან ახლავს უკიდურესად ნეგატიური შედეგები. პრობლემის სირთულეზე ისიც მიუთითებს, რომ მისი ერთხელ და სამუდამოდ გადაჭრა შეუძლებელია, მას ქვეყნის ხელისუფლების მხრიდან მუდმივი და მრავალმხრივი ძალისხმევა სჭირდება. სწორედ ამიტომ, უმუშევრობის მართვა-რეგულირება ცივილიზებული სამყაროს უმთავრესი ამოცანაა. უმუშევრობის დასაძლევად ქვეყნები შეძლებისდაგვარად ცდილობენ ეფექტიანად გამოიყენონ რესურსული პოტენციალი (ადამიანური, ფინანსური, მატერიალური, ინფორმაციული), განახორციელონ ადეკვატური საინვესტიციო, საგადასახადო, საგანმანათლებლო პოლიტიკა და ა.შ., რათა შესაძლებელი გახდეს უმუშევრობის რეგულირება, თუმცა, ყველა ქვეყანა, სხვადასხვა მიზეზის გამო ამას ვერ ახერხებს და სოციალური აფეთქების ზღვარზე იმყოფება. (ტულუმი მ., 2018)

დასაქმების პრობლემა მთელ მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე აქტუალურია. თუმცა, ყველა ქვეყნისთვის განსხვავებულია უმუშევრობის განსაზღვრის და ბუნებრივი დონის დადგენის პარამეტრები. მსოფლიოში თითქმის ყველა ქვეყნისთვის „Central Intelligence Agency“ აწარმოებს „The World Factbook“-ს, სადაც სტატისტიკაზე დაყრდნობით უმუშევრობის დონეა განსაზღვრული. (დასაქმების პროგრამები საქართველოში, 2008)

მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში სახელმწიფო მხარს უჭერს მოსახლეობის შრომით ინიციატივას, ხელს უწყობს შემოქმედებითი შრომის განვითარებას, კოორდინაციას უწევს სახელმწიფო ორგანოების, პროფესიული კავშირების საქმიანობას და სხვ.

დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნით, სახელმწიფო ხელს უწყობს შრომის ბირჟაზე თანაბარი კონკურენციული პირობების ჩამოყალიბებას.

დაბალკონკურენტუნარიანი მოსახლეობის კატეგორიას მიეკუთვნებიან: ინვალიდები; მარტოხელა და მრავალშვილიანი მშობლები; არასრულწლოვანი ინვალიდი ბავშვების აღზრდელები; წინასაპენსიო ასაკის მქონე პირები; შეიარაღებული ძალებიდან დემობილიზებული და მათი ოჯახის წევრები; ახალგაზრდები, რომლებიც პირველად ეწყობიან სამუშაო ადგილზე; რადიაციული კატასტროფის დროს ყოფილი პატიმრები; ლტოლვილები ან იძულებით „გადაადგილებული პირები“ და ეკოლოგიური კატასტროფის მსხვერპლი მოსახლეობა.

ევროკავშირის სოციალური პოლიტიკის უმთავრესი ელემენტია მშრომელთა უფლებების სოციალური ქარტია, რომელსაც სტრასბურგში 1989 წლის დეკემბერში ხელი მოაწერა მთავრობის 12 მეთაურიდან 11-მა. 1992 წლის ევროკავშირის მოლაპარაკებაზე გამყარდა და გაფართოვდა 1989 წლის მთავრობის გადაწყვეტილება „დასაქმებულთა ძირითადი სოციალური უფლებების საზოგადოებრივი ქარტიის“ შესახებ. მომუშავეთა უფლებები განსაზღვრა მთავრობამ, რომლებიც მოიცავდა უსაფრთხოებისა და ჯანსაღი გარემოს გაძლიერებას სამსახურში, ტრეინინგებსა და თანაბარზომიერ მოპყრობას ქალებისა და მამაკაცების მიმართ. 1991 წლის დეკემბერში თანამეგობრობის წევრმა სახელმწიფოებმა (გაერთიანებული სამეფოს გარდა) მასტრიხტში მიიღეს პროგრამა სოციალური პოლიტიკის წარმართვის შესახებ, რომელიც გამომდინარეობდა „მშრომელთა უმთავრესი სოციალური უფლებების თანამეგობრობის შესახებ“ წესებიდან. აღნიშნული შეთანხმება ევროკავშირის წევრი ქვეყნების მშრომელთათვის საკმაოდ სასიკეთო აღმოჩნდა და ითვალისწინებდა გადაადგილების თავისუფლებას (ევროკავშირის ფარგლებში), სამართლიან ანაზღაურებას, გაუმჯობესებულ სამუშაო პირობებს, სოციალური დაცვის უზრუნველყოფას, გაერთიანებათა თავისუფლებას, კოლექტიურ ვაჭრობას, პროფესიულ მომზადებას, შრომის თანაბარ პირობებს ქალებისა და მამაკაცებისათვის, სამრეწველო დემოკრატიულობას, ჯანმრთელობის დაცვას, სამუშაო ადგილების უსაფრთხოებას, ბავშვთა, ასაკოვანთა და უმწეოთა დაცვას. (დასაქმების პროგრამები საქართველოში, 2008)

დასაქმებისა და სამუშაო ძალაზე მოთხოვნის დაბალი დონე კავშირშია კვალიფიკაციაზე მოთხოვნასთან. საქართველოში უმუშევრობა სტრუქტურული

ხასიათისაა. სტრუქტურული უმუშევრობის გამომწვევი მთავარი მიზეზი კი შრომის ბაზარზე კვალიფიკაციის მოთხოვნის და მიწოდების შეუსაბამობაა. კვლევების შედეგად ვლინდება საქართველოში უმაღლესი განათლების მქონე სამუშაო ძალის მიწოდებასა და მასზე მოთხოვნას შორის თვალშისაცემი სხვაობა. საქართველოს ეკონომიკის სექტორული სტრუქტურიდან გამომდინარე, შედარებით ნაკლებია იმ სამუშაო ადგილების რაოდენობა, რომელიც უმაღლეს განათლებას მოითხოვს. კერძოდ, დასაქმების დიდი წილი მოდის სოფლის მეურნეობასა და მომსახურების სექტორზე (მომსახურების სექტორში დასაქმებულების უმეტესობა მუშაობს ვაჭრობის სფეროში), ამ სექტორებში კი მოთხოვნა უმაღლეს განათლებაზე საკმაოდ დაბალია. (დასაქმების პროგრამები საქართველოში, 2008)

1997 წლის ლუქსემბურგის სამიტზე ევროპულმა მთავრობამ წარადგინა „დასაქმების ძირითადი მიმართულებები“, რომელიც ხელს შეუწყობდა უფრო აქტიური დასაქმების ბაზრის უზრუნველყოფას. დაუსაქმებელი მოსახლეობის შემოსავლებით უზრუნველყოფის ნაცვლად მთავარი აქცენტი გადავიდა მათ აუცილებელ დასაქმებაზე, ბიზნესის ხელშეწყობაზე და ეკონომიკურ და ტექნოლოგიურ გაცვლით დასაქმებაზე, ასევე დიდი მნიშვნელობა მიენიჭა იმ საკითხს, რომ ქალები და მამაკაცები და ასევე შეზღუდული უნარის მქონე პირები არიან თანაბარუფლებიანი და თანასწორი წევრები ევროკავშირში.

ტრენინგების, სხვადასხვა რჩევების და მითითებების საშუალებით მთავრობა ყველანაირად ცდილობს დაეხმაროს უმუშევრებს სამუშაო ადგილების მოპოვებაში და იმ კრიტერიუმების დაკმაყოფილებაში, რაც აუცილებელია დასაქმების ბაზარზე შესაღწევად.

დასაქმების კანონმდებლობა განსაზღვრავს მოსახლეობის დასაქმების რეგულირების სამართლებრივ საფუძველს, უმუშევრობის შემთხვევაში უზრუნველყოფს მოქალაქეთა სოციალურ დაცვას და შრომის უფლების გამოყენებას. (დასაქმების პროგრამები საქართველოში, 2008)

საერთაშორისო გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ქვეყნების დასაქმების პოლიტიკას განსაზღვრავს მთავრობა ორი მიმართულებით, ესენია: აქტიური და პასიური პოლიტიკა. აქტიური პოლიტიკის ზოგადი მიზანია დასაქმებისა და ხელფასების

გაზრდა მათთვის, ვინც ვერ ახერხებს სტაბილურ დასაქმებას ან დასაქმებულთა რიგებში შესვლას. დახმარება სამუშაოს მოძიებაში, პროფესიული გადამზადება, დასაქმების სუბსიდირება თუ სახელმწიფო სექტორში სამუშაო ადგილების შექმნა აქტიური პოლიტიკის გავრცელებული ფორმებია. ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის კლასიფიკაციის მიხედვით აქტიური პოლიტიკის ინსტრუმენტებია (COVERAGE AND CLASSIFICATION OF OECD DATA FOR PUBLIC EXPENDITURE AND PARTICIPANTS IN LABOUR MARKET PROGRAMMES):

1. საჯარო დასაქმების მომსახურებები (Public Employment Services);
2. პროფესიული გადამზადების პროგრამები (Labor Market Training);
3. დასაქმების წახალისება (Employment Incentives);
4. შრომის უნარს მოკლებული სამუშაო ძალის მხარდაჭერა და რეაბილიტაცია (Sheltered and Supported Employment and Rehabilitation);
5. ახალი სამუშაო ადგილების შექმნა (Direct Job Creation);
6. სტარტაპების წახალისება (Start-up Incentives).

აქტიური პოლიტიკისგან განსხვავებით, პასიური პოლიტიკის მიზანი არ არის სამუშაო ძალის ბაზრის ეფექტიანობის ამაღლება. პასიური პოლიტიკა ორიენტირებულია არახელსაყრელ მდგომარეობაში აღმოჩენილი უმუშევრების კეთილდღეობის უზრუნველყოფაზე. უმუშევრობის დაზღვევა და ვადამდელ პენსიაზე გასვლის უზრუნველყოფა პასიური პოლიტიკის ტიპური ინსტრუმენტებია. პასიური პოლიტიკა მოიცავს შემდეგ ინსტრუმენტებს:

- უმუშევრობის დაზღვევა;
- ვადამდელი პენსია.

მსოფლიო გამოცდილება საკმაოდ მრავალფეროვანია, შესაბამისად, დასაქმების მექანიზმის ოპტიმალური მოწყობის მზა რეცეპტი არ არსებობს. ზედაპირულია წარმოდგენა, რომ დასაქმების აქტიური პოლიტიკის ინსტრუმენტების ამოქმედება მნიშვნელოვნად გადაწყვეტს უმუშევრობის პრობლემას, ან რომ დასაქმების პასიური პოლიტიკა მხოლოდ ამცირებს სამსახურის პოვნის სტიმულებს. რეალობაში, დასაქმების აქტიური პოლიტიკის ინსტრუმენტებმა, მიუხედავად იმისა რომ ხშირად თეორიულად ისინი გამართლებულია სამუშაო ბაზრის ოპტიმალურად ფუნქციონირების ჩავარდნის

არგუმენტით, შეიძლება ვერ უზრუნველყოს აღნიშნული ბაზრის ფუნქციონირების სისტემური გაუმჯობესება. (დასაქმების პრობლემები და სახელმწიფო პოლიტიკა დასაქმების სფეროში, 2018) ხოლო პასიური პოლიტიკის ინსტრუმენტების შედეგი შეიძლება არ იყოს მხოლოდ სამუშაოს ძებნის სტიმულების დაქვეითება, არამედ უკეთესი სამსახურის პოვნა და დასაქმების ხანგრძლივობის გაზრდა.

რაც შეეხება საქართველოს, აქ მაღალია უმუშევართა შორის უმაღლესი განათლების მქონე პირების რაოდენობა (დაახლოებით 40%). ევროპული ქვეყნებისაგან განსხვავებით, სადაც უმუშევრობა კონცენტრირებულია ნაკლებად განათლებულ ადამიანებს შორის, საქართველოში საშუალოზე დაბალი განათლების მქონე ადამიანები უმუშევართა უმცირესობას წარმოადგენენ. ზოგადად უმუშევრობის ყველაზე მაღალი დონით უმაღლესი განათლების მქონე პირები ხასიათდებიან. ამავდროულად, მზარდია საწარმოო ტიპის არაკვალიფიციურ სამუშაო ძალაზე მოთხოვნა, (World Bank Database) რაც, ცხადია, საშუალო და მაღალი განათლების მქონე საწარმოო ტიპის მუშახელზე მოთხოვნის შემცირებას ნიშნავს. (დასაქმების პრობლემები და სახელმწიფო პოლიტიკა დასაქმების სფეროში, 2018)

საქართველოში უმუშევრობის კუთხით არსებული პრობლემა შრომის ბაზრის რეგულირებას ნაკლებად უკავშირდება, ვინაიდან შრომის ბაზარი მეტ-ნაკლებად ლიბერალიზებულია. აღნიშნული პრობლემის მიზეზები ძირითადად ქვეყნის ეკონომიკის ზომას უკავშირდება. არსებული ეკონომიკური ზრდა და მისი დინამიკა უმუშევრობის მკვეთრად შესამცირებლად საკმარისი არ არის, ვინაიდან არასტაბილური ზრდის პირობებში სამუშაო ძალაზეც მოთხოვნა არასტაბილურია. უმუშევრობის მეორე მიზეზად შეიძლება სამუშაო ძალის დაბალი კვალიფიკაცია მივიჩნიოთ. ცხადია, არსებული ზრდის პირობებშიც არასაკმარისი, თუმცა გარკვეული სამუშაო ადგილები იქნება, მაგრამ აღნიშნულ ადგილებზე სამუშაოს მაძიებელი პირები ნაკლებად საქმდებიან, რადგან შეიძლება სათანადო უნარებს არ ფლობდნენ. გარდა ამისა, ერთი დასაქმებული ერთდროულად რამდენიმე სამუშაო ადგილს იკავებს. ამრიგად, არსებული უმუშევრობის შემცირება ეკონომიკური ზრდის სტაბილურობასა და კვალიფიციურ სამუშაო ძალას უკავშირდება. (შამუგია ე., 2019)

უმუშევრობის მაღალი დონე საქართველოს ეკონომიკის ერთ-ერთ მთავარ გამოწვევას წარმოადგენს, შესაბამისად უმუშევრობის დონის შემცირება მომდევნო წლებში ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთი პრიორიტეტია. ამასთან, კერძო სექტორის შემდგომი განვითარება და ზრდა წარმოადგენს უმუშევრობის შემცირების ყველაზე ეფექტიან მექანიზმს. იმისათვის, რომ უმუშევრობის შემცირებისა და დასაქმების ზრდის მიმართულებით ეფექტიანი ეკონომიკური პოლიტიკა განხორციელდეს, მნიშვნელოვანია განხორციელდეს უმუშევრობისა და დასაქმების კომპონენტების ანალიზი, როგორც მიწოდების მიმართულებით, რაც გულისხმობს შრომის ბაზრის ასიმეტრიულობას, მობილობის დაბალ ხარისხს, დაბალი პროდუქტიულობისა და არაადექვატური კვალიფიკაციის არსებობას, ასევე მოთხოვნის მიმართულებით, რაც მოიცავს კერძო სექტორის არასაკმარის დივერსიფიცირებულობას, სექტორებს შორის არათანაბარ განვითარებას და ბიზნეს და სამეწარმეო საქმიანობის გეოგრაფიული კონცენტრაციის საკითხებს. (საქართველოს შრომის ბაზრის ანალიზი, 2017)

საქართველოში მოსახლეობის დასაქმების ამაღლების და, შესაბამისად, უმუშევრობის დონის შემცირების მიმართულებით აუცილებელია განხორციელდეს რიგი ისეთი ღონისძიება, როგორიცაა:

1) მეტი ყურადღება დაეთმოს ეკონომიკის, განსაკუთრებით მისი რეალური სექტორის აღორძინებას. საგანგებო ყურადღებას მოითხოვს მრეწველობა და სოფლის მეურნეობა. ხელისუფლებამ მაქსიმალურად უნდა შეუწყოს ხელი ეკონომიკის და, უპირველეს ყოვლისა, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ისეთი დარგების აღორძინებას, რომელთა პროდუქციაზე დიდი მოთხოვნაა როგორც შიგა, ისე გარე ბაზარზე. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ისეთი პროდუქტების მწარმოებელი საწარმოების შექმნა-აღორძინებას, რომლებიც მაქსიმალურად უზრუნველყოფს ქვეყანაში მზარდი ტურისტული ნაკადების მაღალ დონეზე მომსახურებას საქართველოში წარმოებული და არა იმპორტირებული პროდუქციით, რასაც, სამწუხაროდ, ამჟამად მნიშვნელოვანწილად აქვს ადგილი, რითაც ეცემა საერთაშორისო ტურიზმიდან მიღებული საერთო ეფექტი. საქმე ისაა, რომ ასეთ ვითარებაში ჩვენთან სხვა ქვეყნებიდან შემოსული ტურისტები განაპირობებენ ახალი დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნას არა ჩვენს ქვეყანაში, არამედ იმ ქვეყნებში, საიდანაც ჩვენ ვეწვევით იმ



პროდუქტების იმპორტს, რომლითაც ვემსახურებით მათ. სასურველია შედარებით დიდი წარმადობის საწარმოების მშენებლობასა და წარმოების ათვისებაში წილობრივი მონაწილეობა მიიღოს სახელმწიფომ;

2) გადაიხედოს მოსახლეობის დასაქმებისა და უმუშევრობის დონის მაჩვენებლის გაანგარიშების საქართველოში არსებული მეთოდოლოგია ისე, რომ მან უზრუნველყოს მისი (დასაქმებისა და უმუშევრობის დონის მაჩვენებლის) ობიექტურობა, რაც გააადვილებს უმუშევრობის მიზეზების დიაგნოზს და, შესაბამისად, მის შესამცირებლად საჭირო ღონისძიებების დასახვასა და განხორციელებას; (პაიჭაძე ნ., 2019)

3) სრულყოფილ იქნეს დასაქმების სახელმწიფო პოლიტიკა. ამ მიზნით, დაიხვეწოს დასაქმების მარეგულირებელი საკანონმდებლო ბაზა, რისთვისაც საჭიროა განხორციელდეს ისეთი ღონისძიებები, როგორცაა: საკანონმდებლო ხელისუფლების მიერ დასაქმების შესახებ კანონის (რომელიც არსებობდა და 2006 წელს უსაფუძვლოდ გაუქმდა) მიღება;

4) ქვეყანაში ფრიკციული უმუშევრობის შემცირების მიზნით, ფართოდ დაინერგოს შრომითი მოწყობის საკითხებზე კომპიუტერიზებული საინფორმაციო სისტემები, რომელთა დახმარებითაც სამუშაოს მაძიებლები შეუფერხებლად მიიღებენ ინფორმაციას დასაქმების ზემოხსენებული სახელმწიფო სამსახურიდან;

5) სტრუქტურული უმუშევრობის შესამცირებლად აუცილებელია პროფესიათაშორისი მობილურობის ამაღლების უზრუნველმყოფელი ისეთი ღონისძიებების გატარება, როგორცაა: მრავალპროფილური სწავლებისათვის უპირატესობის მინიჭება, დასწრებული და დაუსწრებელი ფორმით, კადრების მომზადების, კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების ორგანიზაციის სრულყოფა და სხვ. სამუშაო ადგილების ტერიტორიული დისპროპორციის შემთხვევაში მიზანშეწონილია სამიგრაციო ხარჯების დაფარვაში გარკვეული დახმარება გაეწიოს პირებს, რომლებმაც გადაწყვიტეს სპეციალისტთა ჭარბი რაოდენობის მქონე რეგიონებიდან სამუშაოდ გადავიდნენ იმავე სახის კადრებზე დეფიციტურ რეგიონებში;

6) ციკლური უმუშევრობის შეცირების მიზნით, მიზანშეწონილია ქვეყანას გააჩნდეს მოსახლეობის ერთობლივი მოთხოვნის გადიდებისაკენ მიმართული

მაკროეკონომიკური პოლიტიკა, აგრეთვე, განხორციელდეს შრომის ბაზრის სტიმულირების სხვადასხვა პროგრამა. მაგალითად, საგადასახადო შეღავათები ორგანიზაციებისათვის, რომლებიც ქმნიან ახალ სამუშაო ადგილებს და რომელიც შეიძლება განხორციელდეს ორი გზით: ა) ხელფასის სუბსიდირებისა და ბ) საგადასახადო შეღავათის გზით და ა.შ.; (პაიჭაძე ნ., 2019)

7) მომუშავეთა მიერ მთელ ნამუშევარ დროში ზეგანაკვეთური მუშაობის წილისა და, შესაბამისად, უმუშევრობის დონის შემცირების უზრუნვესაყოფად, კიდევ უფრო სრულყოფილ იქნეს მოცემულ სფეროში სახელმწიფოს მარეგულირებელი ფუნქცია. აუცილებელია აღმასრულებელი ხელისუფლებისა და პროფკავშირების მხრიდან გაძლიერდეს კონტროლი ზეგანაკვეთურად ნამუშევარი დროის ხანგრძლივობის აღრიცხვასა და ანაზღაურებაზე. უპირველეს ყოვლისა, ზეგანაკვეთურად ნამუშევარი საათების ანაზღაურების ზრდის საკანონმდებლო დონეზე დადგენილი კოეფიციენტი უნდა იყოს ისეთი, რომ მან ხალისი დაუკარგოს დამქირავებელს – მიმართოს ზეგანაკვეთური მუშაობის პრაქტიკას, თუ იგი გამოწვეული არაა წარმოებრივი აუცილებლობით;

8) უმუშევრობის დონის შესამცირებლად, სასურველია ქვეყანაში აქტიურად დაინერგოს მუშაობის ისეთი მოქნილი რეჟიმები, როგორცაა: არასრული სამუშაო დღით დასაქმება, ორგანიზაციის პერსონალის შტატში ე. წ. შინ მომუშავე თანამშრომლების აყვანა, მუშაობის (სამუშაო დღის ან კვირის სამუშაო საათების) დაყოფის პრაქტიკა და სხვ.;

9) სამიგრაციო პოლიტიკის სრულყოფა და ა. შ. (პაიჭაძე ნ., 2019)

საქართველოში უმუშევრობის შემცირებისკენ სახელმწიფოს მიერ გადადგმული დიდი და რეალურად კარგი ნაბიჯია- პროგრამა „აწარმოე საქართველოში“, რომელიც ჩამოყალიბდა 2014 წელს საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს მიერ. პროგრამის მიზანი იყო და არის, საქართველოში სამეწარმეო კულტურის განვითარება, ახალი საწარმოების ჩამოყალიბების სტიმულირებით და არსებული საწარმოების გაფართოების ხელშეწყობით.

სსიპ აწარმოე საქართველოში (შემდგომში, 'სააგენტო') არის სახელმწიფო დაწესებულება, რომელიც პროექტის „აწარმოე საქართველოში“ მთავარი განმახორციელებელია. ის პასუხისმგებელია:

ა) ბიზნესის მხარდაჭერაზე - პროექტის ბიზნეს მიმართულება ხელს უწყობს საქართველოში სამეწარმეო საქმიანობის განვითარებას - ახალი საწარმოების გახსნასა და არსებული საწარმოების გაფართოებას.

ბ) ექსპორტის ხელშეწყობაზე- ძირითადი მიზანია ქართული საწარმოების ექსპორტის პოტენციალის ამაღლება. ეს მიიღწევა ადრესატების კონკურენტუნარიანობის გაუმჯობესებისა და საერთაშორისო ბაზრებზე მიმართული საქონლის მოცულობის გაზრდით.

გ) საქართველოს სხვადასხვა ეკონომიკურ სექტორებში ინვესტიციების მოზიდვაზე- მოდერატორის როლს ასრულებს უცხოურ ინვესტორებსა და საქართველოს სახელმწიფოს შორის, უზრუნველყოფს განახლებულ ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობასა და სახელმწიფო უწყებებთან ეფექტურ კომუნიკაციას. მიმართულება ასევე ფუნქციონირებს, როგორც უცხოური ინვესტორებისთვის ინვესტირების პროცესის დამხმარე ობიექტი.


პროექტი აწარმოე საქართველოში მოიცავს 3 კომპონენტს:

1. ფინანსებზე ხელმისაწვდომობის კომპონენტი: კომპონენტი მოიცავს, სამინისტროს მიერ გათვალისწინებული ბიუჯეტის გამოყენებით, კომერციული ბანკების მიერ პროგრამის ფარგლებში ბენეფიციარისთვის გაცემულ სესხზე დარიცხული პროცენტის თანადაფინანსებას. ასევე, სააგენტოს თანამონაწილეობას, ბენეფიციარის მიერ კომერციული ბანკისგან მოთხოვნილი კრედიტის უზრუნველყოფაში. პროგრამის პირობების მიხედვით, ახალი საწარმოს გახსნის შემთხვევაში, უნდა მოხდეს წარმოების დაწყება კრედიტის გაცემიდან 24 თვის განმავლობაში, ხოლო არსებული საწარმოს შემთხვევაში - კრედიტის გაცემიდან 12 თვის განმავლობაში
2. უძრავ ქონებაზე ხელმისაწვდომობის კომპონენტი: თუ კომპანია ეთანხმება გარკვეულ საინვესტიციო ვალდებულებას და ინვესტიციას ახორციელებს ახალ პროგრამაში (ახალი ქარხნის გახსნა ან არსებულის გაფართოება), მას შეუძლია

მოიპოვოს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება სიმბოლურ ფასად - 1 ლარად. საინვესტიციო ვალდებულება გულისხმობს, რომ საწარმოს უნდა ჰქონდეს განხორციელებული ინვესტიცია, რომელიც მინიმუმ 6-ჯერ მეტია ქონების საბაზრო ფასზე თბილისში და მინიმუმ 4-ჯერ მეტი, ვიდრე ქონების საბაზრო ფასი რეგიონებში.

3. ტექნიკური დახმარების კომპონენტი - გულისხმობს სხვადასხვა სახის ტექნიკურ დახმარებას, ყველა ზემოთ აღნიშნული კომპონენტისთვის.

ცხრილი 3.1 სააგენტოს მიერ გაცემული სუფსიდიები




წყარო: სსიპ აწარმოე საქართველოში

გამოკითხული ბენეფიციარების უმრავლესობა ფიქრობს, რომ პროგრამა მათ ძალიან დაეხმარა და მის გარეშე, ბიზნესის გაფართოება ან დაწყება რთული იქნებოდა. ბენეფიციარების დამოკიდებულებასთან ერთად, შეფასებულ იქნა პროგრამის ფარგლებში, ფინანსებზე ხელმისაწვდომობის სიმარტივეც. იმის გათვალისწინებით,

რომ პროგრამაში ჩართვამდე, ბანკების და სალიზინგო კომპანიების მიერ, ხდება ბენეფიციარების არსებული და პოტენციური ბიზნესის ფინანსური ანალიზი და შესაბამისობის დადგენა სასესხო კრიტერიუმებთან, გამოკითხული ბენეფიციარების უმეტესობა ხაზს უსვამს დაფინანსების მოპოვების პროცესის სიმარტივეს.

გრაფიკი 3.1 შექმნილი მშპ(დაფინანსებული ბენეფიციარების მიერ)



2014-2018 წლებში სულ საქართველოში ქვეყნის მშპ , ბენეფიციარების მშპ-ის გარდა იყო 132,656 მლნ ლარი, ხოლო ბენეფიციარების მშპ იყო 126 მილიონი ლარი. რაც 0,09 პროცენტია ქვეყნის მშპ-ის წილში, და რომელიც არც თუ ისე ცუდი მაჩვენებელია ერთი კონკრეტული პროგრამისთვის

გარდა აღნიშნული პროექტისა სახელმწიფო, კომერციული ბანკების ჩართულობით, ახორციელებს სოფლის მეორეობის სხვადასხვა პროექტებს(უმასპინძლე საქართველოში, იაფი აგრო სესხები, დანერგე მომავალი, და ა.შ.), რომელთა მიზანია მაქსიმალურად მეტი ადამიანი ჩაერთოს წარმოებაში. ზემოთ განხილული კონკრეტული მაგალითიც მეტყველებს თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს ქვეყნისთვის ასეთ პროექტებს . სწორედ ასეთ პროექტებზე უნდა მოხდეს გათვლა სახელმწიფოს მხრიდან.

## დასკვნა

მოცემულ ნაშრომში ჩატარდა უმუშევრობის სოციალურ-ეკონომიკური ხასიათის დეტალური თეორიული ანალიზი, განხილულ იქნა საქართველოს შრომის ბაზარზე უმუშევრობის გამორჩეული თვისებები და ჩამოყალიბდა უმუშევრობის შემცირების შესაძლო გზები.

საქართველოში რეალური უმუშევრობის ზრდის ტენდენცია ყოველწლიურად იზრდება, რაც საფრთხეს უქმნის როგორც ქვეყნის მოსახლეობას, ასევე სახელმწიფოს, რადგან უმუშევრობის პირობებში წარმოქმნილი პრობლემების მოგავრება საკმაოდ რთულია და დიდ ხარჯებთან ასოცირდება, რაც სახელმწიფოს ტვირთად აწვება.

საქართველოს დეკლარირებული მიზანია ევროპულ და ევრო-ატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრირება. მიზნის მისაღწევად ხორციელდება აქტიური ქმედებები, თუმცა საზოგადოების შეჭირვებულ ნაწილს უჭირს ამ სიკეთეების აღქმა, რადგან მათ პირად ცხოვრებაზე ჯერ არ ასახულა. საჭიროა ქმედითი ღონისძიებების გატარება, რათა ხელი შეეწყოს ეკონომიკის განვითარებას. მათ შორის, ერთ-ერთი ქმედება უნდა იყოს უმუშევრების და სამუშაო ძალის მიღმა მყოფი მოსახლეობის მრავალმხრივი შესწავლა და ანალიზი, რათა პრობლემის შესაზებ რეალური წარმოდგენა შეიქმნას. სწორი დიაგნოსტიკა საფუძველს ჩაუყრის დასაქმების პოლიტიკის შემმუშავებელი პირების მაღალინფორმირებულობას და რეალურ საჭიროებებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღებას.

ამისათვის საჭიროა, რომ საქართველოში დაინერგოს სამუშაო ძალის სტრუქტურის თვისობრივად განსხვავებული კვლევა, ისეთი, როგორც იწარმოება ევროპასა და აშშ-ში.

მსგავსი კვლევები, ერთის მხრივ შეგვიქმნის სრულ წარმოდგენას შრომის ბაზრის შესახებ და მეორე მხრივ შემცირდება „ორმო“, რომელიც ოფიციალურ სტატისტიკასა და საზოგადოებრივ აღქმას შორის არსებობს ჩვენს ქვეყანაში. ფარული უმუშევრობისა და არასაკმარისი დასაქმების დაუთვლელობა არის პრობლემის არ აღიარების ტოლფასი ქმედება, რადგან იგი თავშივე კლავს აპრობლემის მოგვარების პერსპექტივას. შედეგად,

იკარგება პოტენციური ადამიანური და ეკონომიკური რესურსი, რაც არარაციონალურია, როცა ჩვენ ვსაუბრობთ თითქმის მოსახლეობის მესამედზე.

უმუშევრობის შესამცირებლად სახელმწიფომ უნდა შეწყვიტოს არაეფექტური ხელოვნური პროგრამები. სახელმწიფოს ერთი შეხედვით დასაქმების ზრდისკენ მიმართული პროგრამები საბიუჯეტო სახსრების არაეფექტიანი ხარჯვით მთავრდება. უპირველესად იქ, სადაც შესაძლოა სახელმწიფო დასაქმების მასტიმულირებელი იყოს, არის ინფრასტრუქტურული პროექტები. სხვა მხრივ კი, სახელმწიფოს უმთავრესი მიზანი უნდა იყოს შექმნას კარგი კანონები და ბიზნეს გარემო ქვეყანაში იმისთვის, რომ მოხდეს ინვესტიციების მოზიდვა, ეკონომიკის აქტივობის ზრდა, რაც ავტომატურად უზრუნველყოფს დასაქმების ზრდას.

უმუშევრობის პრობლემა ადამიანის განვითარებასა და ფუნქციონირებაში ერთ-ერთი ფუნდამენტურია. შრომის ბაზარზე გადასვლა გარდაუვლად იწვევს უმუშევრობის მნიშვნელოვან ზრდას.

უმუშევრობა განისაზღვრება სხვადასხვა ფაქტორებით: სამეცნიერო და ტექნოლოგიური პროგრესი იწვევს მუშაკთა შემცირებას, რაც პირველ რიგში მექანიკური შრომის მუშაკებზე აისახება; ეკონომიკაში სტრუქტურული ცვლილებებს მოჰყვება ცალკეულ მრეწველობაში დასაქმებულთა რაოდენობის შემცირება; გაზრდილი პროდუქტიულობა ასევე იწვევს დასაქმებულთა რაოდენობის კლებას.

უმუშევრობა საზოგადოებისათვის უკიდურესად ნეგატიურ და სოციალურ შედეგს წარმოადგენს, როგორც ინდივიდუალური ჯგუფების და ფენების ოჯახებისთვის, ასევე თითოეული ადამიანისათვის.

უმუშევრობის შემცირების ძირითადი მიმართულებების, გზებისა და მეთოდების შემუშავება ითვალისწინებს მისი მიზეზების, დინამიკის, სტრუქტურის წინასწარ ანალიზს, ასევე იმ ფორმებისა და ტიპების იდენტიფიკაციას, რომლებიც იწვევს ინდივიდის, საზოგადოებისა და ქვეყნის ეკონომიკურ სტაბილურობას.

ასეთი ანალიზი საშუალებას გვაძლევს აღვნიშნოთ, რომ დღეს უმუშევრობის შემცირების ძირითადი შესაძლებლობაა სახელმწიფო დასაქმების პოლიტიკის გაძლიერება და ქვეყნის ეკონომიკურ კლიმატის ზოგადი გაუმჯობესება.

აქტიური შრომის ბაზრის პოლიტიკა უნდა განხორციელდეს ერთდროულად, რამდენიმე მიმართულებით და გრძელვადიან პერსპექტივაში. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ შეიცვალოს საქართველოს სახელმწიფო დასაქმების პოლიტიკის ზოგადი ორიენტაცია, რაც დამოკიდებულია რეგიონული შრომის ბაზრის მახასიათებლებსა და პერსპექტივებზე.

დასაქმების პოლიტიკამ უნდა უზრუნველყოს შრომის პოტენციალის ყველაზე ეფექტური გამოყენება, მოსახლეობის სხვადასხვა კატეგორიის დასაქმების შესაძლებლობების გაფართოება. დიდი მნიშვნელობა ენიჭება ინოვაციური და სამეწარმეო საქმიანობის ხელშეწყობას.

ეფექტური და პერსპექტიული დასაქმების პოლიტიკის განხორციელება მოითხოვს დასაქმების ძირითად მაჩვენებლებს და შრომითი რესურსების განვითარებას, ამ სფეროში ძირითადი კვლევის განლაგებას. არსებობს რეალური, მუდმივი მონიტორინგისა და ანალიზის საჭიროება, რომელიც თვისობრივად ვითარდება. საჭიროა ფსიქოლოგიური მომზადება ამ სოციალური ფენომენისთვის.

შეიძლება ითქვას, რომ შრომის ბაზარი საქართველოში ნაკლებად განვითარებულია და აუცილებელია ისეთი ინსტიტუტებისა და მექანიზმების შექმნა, რომლებიც საბოლოო ჯამში კერძო სექტორს უზრუნველყოფს კვალიფიციური სამუშაო ძალითა და იმავდროულად შეამცირებს უმუშევრობას. უნდა აღინიშნოს, რომ შრომის ბაზრის განვითარება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული უმაღლესი და პროფესიული განათლების სისტემებზე. ამდენად, აუცილებელია, რომ საგანმანათლებლო ორგანიზაციებმა გადაწყვეტილება სასწავლო კურსებისა და სპეციალობების შესახებ შრომის ბაზრის მოთხოვნის გათვალისწინებით მიიღონ.



## გამოყენებული ლიტერატურა

1. შრომის საერთაშორისო სამართლის კონვენცია, „შრომის და დასაქმების სფეროში დისკრიმინაციის შესახებ“ (დადებული ჟენევაში 06.25.1958 წელს)
2. საქართველოს შრომის კოდექსი
3. აბესაძე ნ., დასაქმების სტატისტიკა საქართველოში გენდერული სტერეოტიპების ფონზე, გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში, შრომების კრებული, 2017
4. ადამიანის უფლებათა ლექსიკონი, შეადგინა ფ. საყვარელიძემ, ა. ჭიბაშვილმა 1999
5. არჩვაძე ი., უმუშევრობის სტრუქტურა და სტრუქტურული უმუშევრობა საქართველოში, 2016
6. გაბიძაშვილი ბ., სტატისტიკა ეკონომიკაში, ბიზნესსა და მენეჯმენტში, თბ., გამომცემლობა უნივერსალი, 2008 წ
7. დასაქმების პროგრამები საქართველოში, კვლევები ეკონომიკაში, ჟურნალი „ეკონომიკა“, საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია 2008
8. დასაქმების პრობლემები და სახელმწიფო პოლიტიკა დასაქმების სფეროში, თბილისი 2018
9. დასაქმებისა და უმუშევრობის ტენდენციები საქართველოში, ნოემბერი 2011
10. ლაცაბიძე ნ., ცარციძე მ., მიგრაცია, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი 2013
11. პაიჭაძე ნ., უმუშევრობის პრობლემა საქართველოში და მისი დაძლევის გზები, ჟურნალი „ეკონომიკა და ბიზნესი“, №1, 2016
12. საქართველოს შრომის ბაზრის ანალიზი, 2017
13. საზოგადოების განწყობა საქართველოში" 2018 წლის ივნისი გამოკითხვის შედეგები ჩატარებული NDI-ის დაკვეთით CRRC-საქართველოს მიერ, Q1
14. სტატისტიკა ეკონომიკისა და ბიზნესისათვის-2, ლექციების მოკლე კურსი, თბილისი, 2017
15. ტალიკაძე ნ., უმუშევრობასა და დანაშაულს შორის კორელაციურ-რეგრესიულიანალიზი გენდერულ ჭრილში

16. ტულუში მ., უმუშევრობის დონის ცვლილების ტენდენციები საქართველოში და მისი რეგულირების მიმართულებები, საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი „გლობალიზაცია და ბიზნესი“ #5 / 2018
17. პაპავა ვ. ოთხი წელი „ვარდისფერ პარლამენტში“, თბ., 2009.
18. უმუშევართა სტრუქტურა და სტრუქტურული უმუშევრობა საქართველოში, 2016
19. შამუგია ე., უმუშევრობა და დასაქმება საქართველოში, 2019
20. ჩიტაღაძე ქ., „უმუშევრობის სტატისტიკური ანალიზი საქართველოში“ თსუ, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია: „გლობალიზაცია და სტატისტიკა“, შრომების კრებული 2014 წ.)
21. ჩიტაღაძე ქ.მ უმუშევრობის ტენდენციები საქართველოში
22. Беляева М. Безработные: преодоление социальной дезадаптации // Человек и труд. - 2011. - № 5. - С. 32-36.
23. Елкин С.Е. Экономические и социальные последствия безработицы (по результатам анкетного социологического опроса безработных) // Вестник Омского университета. - 2012. - № 4. - С. 85-88.
24. Воронцовская Е.Р. Занятость и формирование рыночного механизма ее регулирования. - Воронеж: Изд-во ВГУ, 2011. - 122 с.
25. Зибарев Д.Б. Основные изменения в динамике и структуре занятости населения в условиях трансформации экономики // Человек и труд. - 2011. - № 12. - С. 30-32.
26. Ишкин, В.В. Рынок труда, занятость населения, экономика ресурсов для труда / В.В. Ишкин. – М.: ЮНИТИ, 2003. - 328 с
27. Кашепов А. Политика на рынке труда // Общество и экономика. - 2009. - № 5. - С. 12-19.
28. Капелюшников, Р.И. Российский рынок труда: адаптация без реконструктуризации/ Р.И. Капелюшников. – М.: Аспект Пресс, 2000. – 446 с
29. 2030 Agenda for Sustainable Development
30. COVERAGE AND CLASSIFICATION OF OECD DATA FOR PUBLIC EXPENDITURE AND PARTICIPANTS IN LABOUR MARKET PROGRAMMES, ხელმისაწვდომია: <https://www.oecd.org/els/emp/Coverage-and-classification-of-OECD-data-2015.pdf>

31. McDowell, M., Thom, R., Frank, R. & Bernanke, B. (2006). Principles of Economics. McGraw-Hill Education publications.
32. First Voluntary National Review on Implementation of the Sustainable Development  
Goa
33. World Bank Database
34. <http://www.enterprisegeorgia.gov.ge/ka/%E1%83%9E%E1%83%A3%E1%83%91%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%99%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98/%E1%83%99%E1%83%95%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%95%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98>
35. <https://1tv.ge/news/2018-wels-umushevrobis-done-wliurad-1-2-procentit-shemcirad-kholo-meotkhe-kvartalshi-mciredit-gaizarda/>
36. <http://forbes.ge/ka/blog/186/umuSevroba,-romelic-ar-Cans>